186/
1981/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი — ივნისი

1981 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1981 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთ საბჭოს დადგენილებები

41. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
42. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 17 თებერვლის № 193 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

43. მებაღეობის ამხანაგობებში საზაფხულო საბაღე სახლებისა და დამხმარე სადგომების დაპროექტებისა და მშენებლობისადმი კონტროლის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.
44. საქართველოს სს რესპუბლიკაში საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისთვის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყოფის, მათი ათვისებისა და მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

45. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.
46. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
47. საუწყებო ავტომობილების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის წესების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.
48. სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.
49. საქსახსოფლტექნიკის რაიონულ ქვედანაყოფთა ძალებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების სრული საწარმოო მომსახურების დამტკიცების შესახებ.
50. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წ;ესის ინსტრუქციისა და სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ.
51. ექსპერტებისა და სპეციალისტებისათვის ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესისა და ოდენობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
52. მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების წესი.
53. საქართველოს სსრ სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების სატყეო-სანიხრე თანრიგებისათვის მიკუთვნების შესახებ.
54. საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
55. გარეული ხილის, კენკრის, კაკლის, სოკოსა და ტყეებში მოპოვებული სხვა არამერქნითი პროდუქციის შესასყიდი ფასების დადგენის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დადგენილებები

41 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

17 0 ४२

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

მე-18 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 3 ნოემბრის № 646 დადგენილებისა „რესპუბლიკაში სკოლა-ინტერნატების მოწყობის შესახებ“;

— მე-11 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 ოქტომბრის № 745 დადგენილებისა „რესპუბლიკაში ტუბერკულოზით დაავადების შემდგომი შემცირების ღონისძიებათა შესახებ“ სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში და სანატორიულ სატყეო სკოლებში კვების ნორმების ნაწილში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 2 ივნისი, № 405

42 სსრ სავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 17 თებერვლის № 193 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 17 თებერვლის № 193 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცეტნრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 12 ოქტომბრის № 1354 დადგენილებისა „თადარიგში დათხოვნილ ან სამსახურიდან გადამდგარ საბჭოთა არმიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-4 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 23 მარტის № 250 დადგენილებისა „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 9 ივნისი, № 443

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

43 მებაღეობის ამხანაგობებში საზაფხულო საბაღე სახლებისა და დამხმარე სადგომების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს დარღვევათა თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო

ადგენენ:

1. დაწესდეს, რომ:

— საბაღე სახლის პროექტის მისადაგების გარეშე წარმოებული ყველა ასეთი სახლის მშენებლობა ჩაითვალოს უკანონოდ;

— შემოღებულ იქნეს მუდმივი და მკაცრი კონტროლი, რათა არ მოხდეს დამტკიცებული პროექტისაგან გადახვევა, ასეთი გადახვევა-დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაისვას საკითხი დამრღვევი პირის მებაღეობის ამხანაგობის წევრობიდან გარიცხვის შესახებ;

— მებაღეობის ამხანაგობის წევრმა, რომელმაც სათანადო ნებართვის ან დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტის გარეშე, ან დადგენილი წესების უხეში დარღვევით ააშენა საბაღე სახლი, მებაღეობის ამხანაგობის გამგეობის გადაწყვეტილებით მანვე (მენაშენემ) უნდა დაანგრიოს ასეთი სახლი, ან იგი დაინგრეს მის ხარჯზე;

— კოლექტიურ ბაღებში ამხანაგობის წევრების მიერ დროებით ნაგებობათა და სამეურნეო ბლოკის მშენებლობა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს სსრ სახმშენის მიერ დამტკიცებული ტიპობრივი პროექტებით. აღიკვეთოს მათი უსისტემო, უგემოვნო განაშენიანება;

— ზემოაღნიშნულისადმი პერსონალური პასუხისმგებლობის ამოცანით მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს მებაღეობის ამხანაგობის საქმიანობის ხელმძღვანელობა და კონტროლი სათანადო დადგენილებით ან ბრძანებით დაევალოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს.

2. დაევალოთ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაციას, პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და მებაღეობის ამხანაგობათა გამგეობებს:

ა) კოლეტიური ბაღისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე არ დაუშვან მებაღეობის ამხანაგობის წევრები საბაღე სახლის ასაშენებლად საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) საპროექტო კანტორის „საქაგროკოოპპროექტის“ მიერ შედგენილი და დამტკიცებული საბაღე სახლის პროექტის მისადაგების გარეშე.

ბ) ამ დადგენილების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ დარღვევა-გადახვევათა შემთხვევაში მიიღონ დროული და ქმედითი ზომები მათს აღსაკვეთად;

გ) საბაღე სახლებისა და დროებით ნაგებობათა მშენებლობის დროს დაშვებული დარღვევებისა და მიღებული ზომების შესახებ პერიოდულად აცნობონ სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ტერიტორიული დაქვემდებარების მიხედვით).

3. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, რომელთა ტერიტორიაზე მდებარე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა:

— სისტემატური კონტროლი გაუწიონ მებაღეობის ამხანაგობის წევრთა მიერ საბაღე სახლების და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობას, დარღვევის თითოეული ფაქტი გახადონ ფართო მსჯელობის საგნად, მკაცრი ზომები მიიღონ როგორც უშუალოდ დამრღვევთა, ისე შესაბამისი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის და ამხანაგობის გამგეობის მიმართ.

— პერიოდულად ჩაატარონ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან შექმნილ მებაღეობის ამხანაგობებში საბაღე სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობის მიმდინარეობის შემოწმებანი. ამ საქმეში ფართოდ ჩაბან რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის საკოორდინაციო კომისიები, ამ დარგში მომუშავე შტატის მუშაკები, აგრეთვე რაიონის საარქიტექტურო სამსახური და სხვა აქტივი. გამოვლენილი დარღვევები განიხილონ აღმასკომის სხდომაზე, მიიღონ ზომები პროექტის დარღვევით აშენებული სახლების დასანგრევად და დამნაშავეთა მიმართ.

— საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციების მეშვეობით წელიწადში ორჯერ (1 ივნისისა და 1 დეკემბრის მდგომარეობით) ჩაატარონ მებაღეობის ამხანაგობებში საბაღე სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობის ინვენტარიზაცია, განიხილონ მისი შედეგები, მიიღონ ზომები გამოვლენილ ნაკლოვანება-დარღვევათა გამოსასწორებლად და მასალები (ინვენტარიზაციის მასა-

ლებთან ერთად) გაუგზავნონ საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპს) ყოველ წლის 1 ივლისსა და 1 იანვარს, შესაბამისი რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომმა, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ, შეაჯამონ და განიხილონ საბაღე სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობის ინვენტარიზაციის მასალები და წარუდგინონ ისინი საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპს) დადგენილ ვადებში.

სისტემატური კონტროლი დააწესონ იმისადმი, თუ როგორ მუშაობენ რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომები მებაღეობის ამხანაგობებში საბაღე სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობაში დარღვევების თავიდან ასაცილებლად. პერიოდულად შეამოწმონ ამ საქმის მდგომარეობა და გამოვლენილ ნაკლოვანებათა შესახებ იქონიონ მსჯელობა დამნაშავეთა მიმართ მკაცრი ზომების მისაღებად.

საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭომ (აგროკოოპმა) შეაჯამოს მიღებული მასალები და მოაწესენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, შეიმუშაოს და დაუგზავნოს შესაბამის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ინვენტარიზაციის ფორმები.

5. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, სადაც გამოყოფილია მიწის ნაკვეთები კოლექტიური ბაღისათვის;

— უზრუნველყონ მებაღეობის ამხანაგობებში საბაღე სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობის წესების დაცვა. ამ მიზნით სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტების, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების მუშაკთა მეშვეობით მიიღონ ზომები, რათა ადგილი არ ექნეს საბაღე სახლების და დამხმარე ნაგებობათა უპროექტო და პროექტის დარღვევით მშენებლობას. ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შეაჩერონ მშენებლობა და აცნობონ საწარმო-დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, შესაბამის რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ტერიტორიული დაქვემდებარების მიხედვით) და საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპს).

6. საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭომ (აგროკოოპმა) თავისი აპარატის მუშაკთა მეშვეობით. მებაღეობის ამხანაგობებში ჩაატაროს საბაღე სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობის შერჩევითი შემოწმება. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, ამასთან დაუყოვნებლივ დააყენოს საკითხი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის, შესაბამისი რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე.

7. საქართველოს სსრ სახმშენმა ჩაატაროს საბაღე სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის ნორმების დაცვის მდგომარეობის შერჩევითი შემოწმებანი და გამოვლენილი დარღვევების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს.

8. თბილისის, რუსთავის, ჭუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა და თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან მოქმედებენ 1967-1973 წლებში შექმნილი მებაღეობის ამხანაგობანი:

— ერთი თვის ვადაში განიხილონ ამ ამხანაგობებში ჩატარებული ინვენტარიზაციის მასალები. საწარმო-დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის, პროფკავშირული ორგანიზაციისა და მებაღეობის ამხანაგობის გამგეობის მეშვეობით, მებაღეობის ამხანაგობის წევრებს, რომლებსაც არსებული ნორმების გადამეტებით აქვთ აშენებული საბაღე სახლები, აღმოაფხვრევინონ ზედმეტობანი საპროექტო მონაცემების შესაბამისად მენაშენის ხარჯზე, წინააღმდეგ შემთხვევაში განიხილონ მისი ამხანაგობის წევრობიდან გარიცხვის საკითხი და იმსჯელონ დარღვევით აშენებული სახლის საერთო წესით ჩამორთმევის შესახებ.

მებაღეობის ამხანაგობის ყოველმა წევრმა, რომელსაც საბაღე სახლი აშენებული აქვს დამტკიცებული პროექტის გარეშე, მაგრამ არსებული ნორმების ფარგლებში, უნდა მიიღოს სახლის საინვენტარიზაციო მოწმობა ამ ნაგებობის აღრიცხვისა და დაკანონების მიზნით.

საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭომ (აგროკოოოპმა) შეიმუშაოს საინვენტარიზაციო მოწმობის ფორმა, ხოლო მებაღეობის ამხანაგობათა გამგეობებმა ამხანაგობის წევრთა ხარჯზე დაუკვეთონ „საქაგროკოოპპროექტს“ საინვენტარიზაციო მოწმობის დამზადება.

9. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ მუდმივი კონტროლი მებაღეობის ამხანაგობათა წევრების მიერ საბაღე ნაკვეთებზე ნაგებობათა აშენების წესების ზუსტი დაცვისადმი და არ დაუშვან უპროექტო, ან პროექტის დარღვევით მშენებლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟითანავა.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 16 ივნისი, № 427

ეროვნული ბიბლიოთეკა

44 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების გამოყოფის, მათი ათვისებისა და მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ დანიშნულებით უკვე შერჩეულია 8 ათას ჰექტარამდე მიწის ფართობი, აქედან ქ. თბილისის მშრომელთა კოლექტივებისათვის — 5,6 ათასი ჰექტარი. გამოყოფილი აქვთ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს 2300 ჰექტარი, აქედან ქ. თბილისის მშრომელთა კოლექტივებს 2 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. შექმნილია 325-მდე მებაღეობის ამხანაგობა, სადაც გაერთიანებულია 30 ათასი წევრი.

კოლექტიური მებაღეობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების ათვისება უკვე დაიწყეს ქალაქების თბილისის, რუსთავის, ჭიათურისა და მცხეთის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან შექმნილმა კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობებმა. მებაღეობის ახალი ამხანაგობების ჩამოსაყალიბებლად სათანადო მუშაობა ტარდება ქალაქების გორის, ქუთაისისა და ფოთის, დუშეთის, კასპისა და გარდაბნის რაიონების ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

ამ ამხანაგობათა საქმიანობა განსაკუთრებით გაუმჯობესდა და მათი განვითარების ძირითადი საკითხების გადაწყვეტა დაჩქარდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 19 აპრილის № 400 დადგენილების მიღების შემდეგ. საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან (აგროკოოპთან) შეიქმნა საპროექტო კანტორა, სარემონტო-სამშენებლო სამმართველო და საშენი მასალების საწარმო, რაც დიდად უწყობს ხელს კოლექტიური ბაღების ტერიტორიის კეთილმოწყობას, საბაღე სახლების დაპროექტებასა და მშენებლობას, განხორციელდა საჭირო ღონისძიებანი საშენი მასალების გამოყოფისა და საბაღე სახლების დამზადებისათვის.

ამასთან, მებაღეობის ამხანაგობათა განვითარების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ხელმძღვანელები და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტები ხშირად პრინციპულად არ ეკიდებიან კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექტიური მებაღეობის განვითარების საკითხებს და ამ საქმისადმი ზერეული დამოკიდებულებას იჩენენ. სასტუმრო „ივერიამ“, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა, საწარმოო გაერთიანება „საქცხოველმრეწვმა“, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, ტრესტ „კავშირტელეფონმშენის“ თბილისის სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ და სხვა ორგანიზაციებმა ჯერ თანხმობა განაცხადეს შეთავაზებული მიწის ნაკვეთების მიღებაზე, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მათთვის ნაკვეთების გამოყოფის შემდეგ უარყვეს ადრე მიცემული თანხმობა და უკეთესი ნაკვეთების მიღების მიზნით უარი განაცხადეს გამოყოფილი მიწის ფართობების ათვისებაზე, რითაც ფაქტიურად ჩაშალეს მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობა და გააჭიანურეს შერჩეული ფართობების დანიშნულებისამებრ ათვისება.

ზოგიერთი საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება ბაღის ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის შედგენისა და მისი ნატურაში გადატანის შემდეგაც აჭიანურებს ნაკვეთის ათვისების დაწყებას. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ მთავრობის დადგენილების მიღებიდან ერთი წლის გასვლის მიუხედავად, მებაღეობის ამხანაგობათა 2646 წევრიდან გამოყოფილი მიწის ნაკვეთების ათვისება დაიწყო მხოლოდ 300-ვა წევრმა, ხოლო დანარჩენმა უარი განაცხადა მათს ათვისებაზე, დაიწუნა იგი და მოითხოვა უკეთესი ნაკვეთების გამოყოფა. ასეთი მოქმედება განპირობებულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის, საოლქო პროფსაბჭოს, შესაბამისი რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისა და პროფკავშირის რაიკომების მიერ საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულებით. ისინი დასჯერდნენ რა ფორმალური თანხმობის მიღებას, ორგანიზაცია-დაწესებულებებს მიწის ნაკვეთები გაუნაწილეს ადგილზე დათვალიერების გარეშე.

კოლექტიური მებაღეობისათვის ფართობების შერჩევისას უხეში შეცდომები დაუშვა ზოგიერთმა რაიონულმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებიც იყვნენ. კერძოდ, თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის საბჭოთა მეურნეობაში ამ დანიშნულებით შეირჩა და გამოიყო სოფლის მოსახლეობის პირუტყვის საძოვარი, რამაც ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მსგავსი შემთხვევებია გარდაბნის რაიონის ნორიოს საბჭოთა მეურნეობაში, მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „მეგობრობაში“ და სხვაგან. რაიონული კომისიების მიერ ამ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგად მთელ რიგ რაიონებში აშკარად შეფერხდა კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა ჩამოყალიბება და საბაღე ნაკვეთების ათვისება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი დაუშვებ-
ლად აჭიანურებს საბაღედ შერჩეული მიწის ფართობების განაწილებას
საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის. საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1980 წლის მაისში დამტკიცებული და გასანა-
წილებლად გადაცემული 135 ჰექტარი მიწის ფართობიდან საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოში წარმოდგენილია და დამტკიცდა მხოლოდ 2,5 ჰექტარის
გამოყოფა. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის
მიერ მაქსიმალურად არ არის განაწილებული მებაღეობისათვის ადრე შერჩე-
ული ვარგისი ფართობებიც, 5600 ჰექტარიდან განაწილებულია მხოლოდ 2000
ჰექტარი ფართობი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო აჭიანურებს კო-
ლექტიურ მებაღეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დავალებების შესრუ-
ლებას, რაც იმის შედეგია, რომ სამინისტროს აპარატში დღემდე არ არის
შექმნილი სათანადო რგოლი, რომელიც იმუშავებს კოლექტიური მებაღეობის
საკითხებზე.

რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელები, პროფ-
კავშირის კომიტეტები სრულ უყურადღებობას იჩენენ კოლექტიური მებაღე-
ობის განვითარებისადმი. მათ ჯერ კიდევ არა აქვთ დაზუსტებული მებაღეობის
ამხანაგობებში შესვლის მსურველთა კონტინგენტი და სათანადო მუშაობას
არ ეწევიან ამ დანიშნულებით მიწის ფართობების შერჩევისა და გამოყოფი-
სათვის.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებუ-
ლების ხელმძღვანელები და პროფკავშირის კომიტეტები უსაფუძვლოდ იწუ-
ნებენ ამ დანიშნულებით შერჩეულ მიწის ნაკვეთებს, ზოგ შემთხვევაში მათ-
თვის მთავრობის დადგენილებით უკვე გამოყოფილ ფართობებს, და გაუმართ-
ლებლად მოითხოვენ საგარაკო ადგილებში მიწის ნაკვეთების გამოყოფას, რაც
ეწინააღმდეგება ამ საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომი-
ტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენი-
ლებათა მოთხოვნებს.

ნაკლოვანებანი შეინიშნება 1966-1970 წლებში შექმნილი მებაღეობის
ამხანაგობათა საქმიანობაშიც. ქალაქების თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის
ტერიტორიაზე განლაგებული 107 ორგანიზაცია-დაწესებულების მებაღეობის
ამხანაგობის 23 ათასი წევრისათვის გამოყოფილი 1600 ჰექტარი ფართობი-
დან 10 ათასი წევრის მიერ ათვისებულია მხოლოდ 1100 ჰექტარი. მებაღეო-
ბის ამხანაგობათა ნაწილს არ გააჩნია ბაღის ტერიტორიის ორგანიზაციის პრო-
ექტი და მებაღეობის ამხანაგობის რეგისტრირებული წესდება. რეგისტრაცი-
აში გატარებულია მხოლოდ 64 ამხანაგობის ტერიტორიის ორგანიზაციის
პროექტი და 82 ამხანაგობის წესდება. არის მიწის ნაკვეთების დაუმუშავებ-
ლობისა და დამუშავებული ნაკვეთებიდან ძალზე მცირე მოსავლის მიღების
ფაქტებიც, რაც უარყოფითად მოქმედებს მებაღეობის განვითარებაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებ-მა და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

— ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ხელმძღვანელებსა და პროფკავშირთა ადგილობრივ კომიტეტებს მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის გაუმჯობესების, ბაღის ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტების შედგენა-დამტკიცების, მებაღეობის ამხანაგობის წესდების რეგისტრაციაში გატარების, გამოყოფილი ნაკვეთების ათვისების, მათზე გზების, ელექტროენერგიის, წყალმომარაგებისა და სხვა კომუნიკაციების მოწყობისა და ადრე შექმნილ მებაღეობის ამხანაგობებში სათანადო წესრიგის დამყარების საქმეში;

— აამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პროფკავშირის კომიტეტების პასუხისმგებლობა მებაღეობის ამხანაგობათა შემდგომი განვითარებისათვის, პერიოდულად მოისმინონ მათი ანგარიშები, განაზოგადონ და გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება;

—საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან (აგროკოოპთან) ერთად შეიმუშაონ სპეციალური თემატიკა და 1981 წლის 1 აგვისტომდე ჩაატარონ სემინარები ზონების მიხედვით იმ საწარმოთა პროფკავშირის კომიტეტების თავმჯდომარეებისათვის, სადაც ჩამოყალიბებულია მებაღეობის ამხანაგობანი.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საოლქო პროფსაბჭოებმა, პროფკავშირის რაიკომებმა მიმდინარე წლის ბოლომდე შეისწავლონ და განიხილონ კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობა, გამოყოფილი მიწის ნაკვეთების ათვისების მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

3. სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა და პროფკავშირის კომიტეტებმა:

— მეტი ქმედითი ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ მებაღეობის ამხანაგობათა გამგეობებს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში. სპეციალურად მიამაგრონ მათ ამ მიზნით პროფკავშირის კომიტეტების წევრები და უზრუნველყონ მებაღეობის ამხანაგობათა მიერ ტიპობრივი წესდების მოთხოვნათა მტკიცედ დაცვა;

— კოლექტიური მებაღეობის შემდგომი განვითარების მიზნით თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 აპრილის № 299 დადგენილებისა და მებაღეობის ამხანაგობათა განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 29 აპრილის № 400 დადგენილების მოთხოვნები.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭომ (აგროკოოპმა) და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა საოლქო პროფსაბჭოსთან ერთად ერთი თვის ვადაში საფუძვლიანად შეისწავლონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 30 მაისის № 455 დადგენილებით გამოყოფილი 161 ჰექტარი მიწის ფართობის ათვისებაზე ორგანიზაციების მიერ მასობრივი უარის თქმის მიზეზები და მიიღონ საჭირო ზომები.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპს):

— შეუნელებელი ყურადღება მიაქციოს კოლექტიური მებაღეობის განვითარების პრობლემებს და საჭიროების შემთხვევაში ცალკეული საკითხები შემოიტანოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში განსახილველად, გაშალოს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით მოწინავე მებაღეობის ამხანაგობათა გამოცდილების განზოგადების მიზნით, გააშუქოს კრიტიკული მასალები გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების შესახებ, მოაწყოს სპეციალისტთა საუბრები საბაღე ნაკვეთებში ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე;

— რესპუბლიკაში არსებული მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობისა და მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ყოველი წლის ბოლოს მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს;

6. საქართველოს პროფსაბჭოს საბინაო-საყოფაცხოვრებო განყოფილებამ საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან (აგროკოოპთან) ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს პროფსაბჭოს სამდივნოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს:

— დებულება მებაღეობის ამხანაგობებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ;

— პროექტი ერთიან მასივებში რამდენიმე მებაღეობის ამხანაგობის გამგეობათა გაერთიანებული საბჭოების შექმნის შესახებ.

7. თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან (აგროკოოპთან) ერთად:

— ორი თვის ვადაში გაანაწილონ კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად შერჩეული მიწის ფართობები და არსებული წესის შესაბამისად წარმოუდგინონ მასალები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— დააზუსტონ კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობებში შესვლის მსურველთა რიცხვი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით და მიმდინარე წლის 1 ივლისამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონაცემები რაიონების მიხედვით, ოჯახებისა და საჭირო ფართობების ოდენობის შესახებ;

— პერიოდულად მოისმინონ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების ანგარიშები მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის შესახებ და დასახონ საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

8. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოუყოს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპს) სათანადო სამუშაო ფართობი, იმის გათვალისწინებით, რომ ერთად მოთავსდნენ მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები.

9. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების, დაბებისა და სოფლების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიონ იმ სოფლის მოსახლეობასთან, სადაც მიმდინარეობს საბაღე ნაკვეთების შერჩევა და გამოყოფა, წინასწარ განუმარტონ მათ მებაღეობის ამხანაგობათა შექმნის სიკეთე, განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობა სოფლის მოსახლეობისა და მებაღეობის ამხანაგობათა წევრებს შორის, პრაქტიკაში დანერგონ ურთიერთსაშეფო და სხვა ღონისძიებათა განხორციელება.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, გარდაბნის, საგარეჯოს, მარნეულის, ბოლნისის, თიანეთის, დუშეთის, კასპის, ქარელის, თეთრი წყაროს, გორის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოსთან (აგროკოოპთან) ერთად:

— დააზუსტონ კოლექტიური მებაღეობისათვის შერჩეული მიწებიდან უპერსპექტივო ფართობების ოდენობა და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— დაამთავრონ ქალაქების თბილისისა და რუსთავის მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობების მოსაწყობად საჭირო დამატებითი მიწის ნაკვეთების შერჩევა და სამი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არსებული წესით გაფორმებული მასალები. ნაკვეთების შერჩევისას მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 მაისის № 363 და 1981 წლის 15 აპრილის № 299 დადგენილებებით და დაიცვან ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის № 822 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნები.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თავის აპარატში შექმნას კოლექტიური მებაღეობის განყოფილება ამ სამინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროსათვის დამტკიცებული საშტატო ერთეულების, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

12. ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილებასა და საქართველოს პროფსაბჭოს საბინაო-საყოფაცხოვრებო განყოფილებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი 1981 წ. 16 ივნისი, № 428

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

45 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თანდართული წესდება.

2. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წესდების ტექსტი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 11 მაისი, № 335

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 11 მაისის № 335 დადგენილებით

წესდება
საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებისა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 66-ე მუხლის თანახმად ისტორიის ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა დაცვა საქართველოს სსრ თითოეული მოქალაქის მოვალეობაა.

1. საზოგადოების ამოცანები

1. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება წარმოადგენს ნებაყოფლობით მასობრივ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს აქტიურად შეუწყოს ხელი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

2. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება:

ა) წარმართავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული კულტურის ძეგლთა გამოვლენას, აღრიცხვას, მეცნიერულ შესწავლას, აღდგენა-გამაგრებასა და დაცვას;

ბ) ხელს უწყობს მოსახლეობაში საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობების შთანერგვას, მშრომელთა იდეურ-ზნეობრივი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის საქმეს;

გ) ეწევა მოსახლეობაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების ფართო პროპაგანდას, რომელიც ავითარებს სამშობლოს სიყვარულს, მისი ისტორიის, ხალხის შრომისა და ნიჭისადმი ღრმა პატივისცემას;

დ) ახორციელებს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-აღდგენის მიზნით მოწინავე იდეების, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვას;

ე) იზიდავს მოსახლეობის ფართო მასებს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში აქტიური და უშუალო მონაწილეობისათვის. ამ ძეგლებს განეკუთვნებიან: ისტორიულ-რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების მემორიალები, ძმათა სასაფლაოები, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის, საერო და საკულტო არქიტექტურის, არქეოლოგიის, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ხალხურ-მხატვრული ნაკეთობანი, ძველი დამწერლობის, ლიტერატურული ძეგლები და სხვა;

ვ) ეწევა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ფართო პროპაგანდას, ამ მიზნით გამოსცემს სამეცნიერო-პოპულარულ კრებულს „ძეგლის მეგობარს“, გზამკვლევებს, ბუკლეტებს, ფოტო-ილუსტრირებულ ალბომებს, ღია ბარათებს, ეწევა სალექციო მუშაობას, აწყობს გამოფენებს, კონფერენციებს, სესიებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემინარებს, შეხვედრებს, დისკუსიებს, იყენებს პრესას, რადიოს, ტელევიზიას, კინოსა და პროპაგანდის სხვა საშუალებებს;

ზ) აწყობს წინასწარ გათვალისწინებული გეგმით კონკურსებს საუკეთესო მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოებების, ფოტოების, სუვენირების შექმნის, გამოვლენისა და პროპაგანდისათვის;

თ) ამყარებს მეცნიერულ და საქმიან ურთიერთობას საქართველოს სსრ და მოძმე რესპუბლიკების საზოგადოებებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, შემოქმედებით კავშირებთან და სპეციალისტებთან, აგრეთვე უცხოეთის შესაბამის საზოგადოებებთან, ორგანიზაციებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან;

ი) აქტიურად იბრძვის დრომოჭმული რელიგიური გადმონაშთების, მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ, ხელს უწყობს ახალი პროგრესული საბჭოური ტრადიციების დანერგვას;

კ) ავლენს და საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად ხდის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისადმი მოქალაქეთა და დაწესებულება-ორგანიზაციების მხრივ დანაშაულებრივი მოქმედების ფაქტებს. საჭიროების შემთხვევაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მიმართავს სათანადო ორგანოებს კანონის დარღვევით წარმოებული სამუშაოების შეწყვეტის, დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მოქალაქეთა პასუხისმგებლობისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ;

ლ) შეაქვს საკანონმდებლო ორგანოებში წინადადებანი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხებზე;

მ) კონტროლს უწევს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღდგენა-გამაგრების სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობასა და ხარისხს;

ნ) ხელს უწყობს დაწესებულება-ორგანიზაციების შეფობას ძეგლებზე და ყოველმხრივ ეხმარება მათი საშეფო მუშაობის მეცნიერულ და პრაქტიკულ წარმართვას;

ო) ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის, მეცნიერული შესწავლისა და პოპულარიზაციის მიზნით, ზემდგომი ორგანოების მიერ განსაზღვრული პროფილის, დამტკიცებული გეგმებისა და არსებული წესის შესაბამისად ხსნის საწარმოებს ხალხური რეწვის პროდუქციისა და მხატვრული სუვენირების დასამზადებლად;

პ) აფინანსებს და ამტკიცებს საზოგადოების მიერ წარმოებული მშენებლობების ხარჯთაღრიცხვებსა და საფინანსო გეგმებს;

ჟ) ხსნის მხატვრულ-სასუვენირო ნაკეთობათა და ხალხური რეწვის პროდუქციის სარეალიზაციო პუნქტებს.

II. საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობანი

3. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება აერთიანებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრებს.

4. საზოგადოების ინდივიდუალური წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 14 წელს მიღწეული მოქალაქე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც გაიზიარებს საზოგადოების წესდებას, სურვილი აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საქმიანობაში, კეთილსინდისიერად შეასრულოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების ყველა დავალება და გადაწყვეტილება.

5. საზოგადოების კოლექტიური წევრი შეძლება გახდეს რესპუბლიკის სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კოოპერაციული, სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაცია, დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე სამხედრო ნაწილები.

6. საზოგადოების ინდივიდუალურ წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ყველა ორგანიზაციულ, მეთოდურ, პრაქტიკულ და პროპაგანდისტულ საქმიანობაში;

ბ) გადამწყვეტი ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების ყველა კრებასა და თათბირში;

გ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების აღმასრულებელ და სარევიზიო ორგანოებში.

7. საზოგადოების წევრად მიღება ხდება ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის ან მისი საბჭოს მიერ.

8. საზოგადოების კოლექტიურ წევრად მიღება ხდება საზოგადოების, რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ან ძირეული საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებით.

9. საზოგადოების კოლექტიური წევრი საზოგადოების წევრის უფლებას ახორციელებს თავის წარმომადგენლის მეშვეობით.

10. საზოგადოების წევრი გამოდის საზოგადოებიდან პირადი განცხადებით, ხოლო საზოგადოების წესდების დარღვევის შემთხვევაში გაირიცხება პირველადი ორგანიზაციის საბჭოს დადგენილებით.

III. საზოგადოების ორგანოები

11. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების უმაღლესი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც იწვევენ 5 წელიწადში ერთხელ.

12. ყრილობათა შორის პერიოდში საზოგადოების მუშაობას ხელმძღვანელობს ყრილობის მიერ არჩეული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, რომელიც ყოველდღიური მუშაობისათვის თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდიუმს, პრეზიდიუმი კი ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და სწავლულ მდივანს.

რესპუბლიკური საბჭოს სხდომები მოიწვევა წელიწადში არანაკლებ ორჯერ, ხოლო საბჭოს პრეზიდიუმისა — ორ თვეში ერთხელ.

13. ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში იქმნება საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების კონფერენციაზე არჩეული საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები, რომლებიც თავის მხრივ ირჩევენ პრეზიდიუმს. პრეზიდიუმი ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები აირჩევა 5 წლის ვადით. ამ სხდომების მოწვევა ხდება არანაკლებ 6 თვეში ერთხელ.

14. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობაზე, აგრეთვე საოლქო, საქალაქო და რაიონულ კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

15. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები იქმნება საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, საწარმო-დაწესებულებებთან, ფაბრიკა-ქარხნებთან და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის შესაქმნელად საჭიროა სულ მცირე 10 წევრი.

16. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს 3-7 კაცისაგან შემდგარი საბჭო, რომელსაც ირჩევს საერთო კრება, საბჭო ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს.

17. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობა:

ა) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების მუშაობის ანგარიშს;

ბ) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების წესდებას;

გ) ირჩევს საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიას, განსაზღვრავს მათ რაოდენობას;

დ) განიხილავს და ამტკიცებს საბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებას.

18. საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციების კრებები:

ა) განიხილავენ და ამტკიცებენ საბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს;

ბ) ირჩევენ საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიას.

19. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და ძირეული საბჭოების კომპეტენციაში შედის;

ა) საზოგადოების მუშაობის ხელმძღვანელობა და ყრილობების, კონფერენციებისა და პირველადი ორგანიზაციების კრებების დადგენილებათა განხორციელება;

ბ) სამუშაო გეგმის შემუშავება, მომავალი წლისათვის ხარჯთაღრიცხვის შედგენა და დამტკიცება;

გ) საზოგადოების მთელი ადმინისტრაციული, სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის ხელმძღვანელობა;

დ) საზოგადოების ყრილობის, კონფერენციებისა და პირველადი ორგანიზაციების კრებების მოწვევა, მოხსენებებისა და ანგარიშების მომზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საოლქო, საქალაქო, რაიონული კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებები ირჩევენ სარევიზიო კომისიებს 3-9 წევრის შემადგენლობით.

სარევიზიო კომისიები კონტროლს უწევენ გამგეობებისა და პრეზიდიუმის მიერ საზოგადოების წესდების, ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და სამუშაო გეგმების შესრულებას, ახორციელებენ საზოგადოების, მისი საწარმოებისა და სხვა დაწესებულებების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და მატერიალურ ფასეულობათა მდგომარეობის გამორკვევას და დოკუმენტურ რევიზიას. სარევიზიო კომისია წარმოადგენს საკონტროლო ორგანოს და თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს საზოგადოების ყრილობას, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კონფერენციებს და პირველადი ორგანიზაციების კრებებს.

სარევიზიო კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს პრეზიდიუმის გამგეობას და მის წევრებს, საზოგადოების საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს საჭირო დოკუმენტები, ახსნა-განმარტება. სარევიზიო კომისიებს შეუძლიათ ცალკეული რევიზიების ჩასატარებლად მოიწვიონ სპეციალისტები.

21. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობის, კონფერენციებისა და პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების მიერ განსახილველი საკითხები გადაწყდება ხმის უმრავლესობით.

22. საქართველოს ისტორიისა დ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები რაიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოები საზოგადოების ზემდგომ ორგანოს ყოველწლიურად წარუდგენენ ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ.

23. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება და მისი ძირეული ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის ყველა უფლებით, აქვთ მრგვალი ბეჭედი (საზოგადოების ემბლემისა და სახელწოდების გამოსახულებით) და შტამპი.

IV. საზოგადოების სახსრები

24. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სახსრები, რომლებიც საჭიროა საორგანიზაციო, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის, საშტატო ერთეულების შენახვის, ძეგლების მოვლის, აღდგენა-გამაგრებისა და სხვა სამუშაოების შესრულებისათვის, შედგება:

ა) ყოველწლიური საწევრო შესატანისაგან;

ბ) ძეგლების შესახებ ცნობარების, მეგზურების, სუვენირების, სამახსოვროებისა და სხვა სახის გამოცემების რეალიზაციით მიღებული შემოსავლისაგან:

გ) დამხმარე საწარმოებიდან მიღებული ფულადი შემოსავლისაგან;

დ) ინდივიდუალური პირების შესატანისაგან, რომლებიც ყოველწლიურად ძეგლების შესაკეთებლად საზოგადოების ანგარიშზე შეიტანენ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისაგან და სხვა ორგანიზაციებისაგან შემოწირული თანხებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესატანები დაწესებულია: ინდივიდუალურ წევრთათვის — შესასვლელი შესატანი ოცდაათი კაპიკი, საწევრო — სამოცი კაპიკი წელიწადში; მოსწავლეთათვის შესასვლელი შესატანი ათი კაპიკი, საწევრო — ოცი კაპიკი წელიწადში; კოლექტიურ (იურიდიულ) წევრთათვის საწევრო შესატანი ათი მანეთიდან ზევით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საზოგადოების წევრებს საწევრო შესატანი შეაქვთ წელიწადში ერთხელ, შესატანი იფარება მარკებით.

26. საწევრო შესატანი შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულ ან საქალაქო საბჭოს ანგარიშზე, შეგროვილი თანხის 20 პროცენტი ეკუთვნის საზოგადოების სათანადო პირველადს ორგანიზაციებს. რაიონული და საქალაქო საბჭოები მთლიანი შემოსავლის 50 პროცენტს ურიცხავენ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოები, რომლებიც იმყოფებიან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქალაქო (თბილისის) ტერიტორიაზე, დარჩენილი თანხის 80 პროცენტს ურიცხავენ სათანადო საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ საბჭოებს, საქალაქო და საოლქო საბჭოები კი მათ ანგარიშზე შემოსული თანხის 50 პროცენტს ურიცხავენ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს.

27. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესაბამისი ფონდების ანარიცხების ოდენობის ჩარიცხვის წესს და სახსრების დანიშნულებით გამოყენებას საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი წარმართავს დადგენილი წესის მიხედვით. ფონდების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი.

28. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება ქმნის შემდეგ ფონდებს:

ა) ძირითად ფონდს;

ბ) სარეზერვო ფონდს;

გ) სპეციალურ ფონდს;

დ) კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდს;

ე) საპრემიო და დაჯილდოების ფონდს;

ვ) დახმარების ფონდს;

ზ) შემოწირულობის ფონდს.

29. ძირითადი ფონდი გამოიყენება საზოგადოების ორგანიზაციების დაწესებულებებისა და საწარმოების სრულყოფისა და გაფართოებისათვის.

30. სარეზერვო ფონდის დანიშნულებაა საზოგადოების საქმიანობის შედეგად მიღებული შესაძლო ზარალის დაფარვა. აღნიშნულ ფონდს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით შეიძლება მიეცეს სხვა დანიშნულება.

31. სპეციალური ფონდი გამოიყენება საზოგადოების ორგანიზაციების დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის როგორც სესხის მისაცემად, ისე საჭიროების შემთხვევაში ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად (ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით, ძეგლების აღდგენა-შეკეთების, ახალი საწარმოების დაარსებისათვის და სხვ.).

32. კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდი გამოიყენება საზოგადოების წევრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

33. საპრემიო და დაჯილდოების ფონდი გამოიყენება სამუშაო გეგმის შესრულებისას თანამშრომლებისათვის პრემიების გასაცემად, აქტიურად მომუშავე წევრებისა და მუშაობაში წარჩინებულთა დასაჯილდოებლად.

34. დახმარების ფონდი განკუთვნილია საზოგადოების წევრთა და თანამშრომელთა მატერიალური დახმარებისათვის და სტიმულირებისათვის.

35. შემოწირულობის ფონდი შედგება ინდივიდუალური პირების, საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობისა და სხვა ორგანიზაციებისაგან შემოწირული თანხებისაგან და ხმარდება ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღდგენა-გამაგრებისა და პროპაგანდის საქმეს.

V. საზოგადოების ლიკვიდაცია

36. საზოგადოება წყვეტს თავის საქმიანობას:

ა) საზოგადოების ყრილობის დადგენილებით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

37. საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი ქონების გამოყენება ხდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

46 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 დეკემბრის № 841 დადგენილება „ინვალიდთა მოტოეტლების შეკეთების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილება „ხელით სამართავი ავტომობილებით ინვალიდთა უზრუნველყოფის შესახებ“ დიდი სამამულო ომის ინვალიდთა და სამხედრო მოსამსახურეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვიდან შეღავათების მიხედვით მათთან გათანაბრებულ პირთა „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილებით უზრუნველყოფის ნაწილში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 201 დადგენილება „სამამულო ომის ინვალიდთა და დიდ სამამულო ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების წევრთა შეღავათების გაფართოების შესახებ“, ამასთან შეხარჩუნებულ იქნეს აღნიშნული დადგენილების 1-ლი პუნქტის მოქმედება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 მარტის № 185 დადგენილების მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთა მიმართ.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 ივნისის № 377 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 201 დადგენილებით სამამულო ომის ინვალიდებისათვის დაწესებული შეღავათების იმ სხვა ინვალიდებზე გავრცელების შესახებ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც ინვალიდები გახდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 17 ივლისის № 443 დადგენილება „საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის პირთა რიცხვიდან ინვალიდების ხელით სამართავი ავტომობილებით უზრუნველყოფის შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 ოქტომბრის № 603 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ქ. თბილისი, 1981 წ. 11 მაისი, № 337

47 საუწყებო ავტომობილების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის წესების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის საუწყებო ავტომობილების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის მრავალი ფაქტი. სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შეასუსტეს კონტროლი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შენახვის არსებული წესის დაცვისადმი. ზოგიერთ ორგა-

ნიზაციას, საწარმოსა და დაწესებულებას ჯერ კიდევ არა აქვს გარაჟები და სპეციალურად ავტომობილების სადგომად გამოყოფილი ადგილები, მათი ნორმალური მომსახურებისა და მოვლა-შენახვისათვის საჭირო მოწყობილობა. ხშირია შემთხვევები, როცა სატრანსპორტო საშუალებებს (სატვირთო და მსუბუქ ავტომობილებს, ავტობუსებს) იყენებენ პირადი გამორჩენის მიზნით, ხოლო სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები არ იღებენ ჯეროვან ზომებს ამგვარ ბოროტმოქმედებათა აღსაკვეთად. აღნიშნული ავტომობილების მნიშვნელოვანი ნაწილი ღამით დატოვებულია გარაჟების და სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი ტერიტორიების გარეთ, აგრეთვე მძღოლთა სახლებში.

ეს დარღვევები ხელს უწყობენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გაზიდვის მრავალრიცხოვან შემთხვევებს

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი ხელს უწყობენ აგრეთვე მოძრაობის ინტენსიურობის გადიდებას რესპუბლიკის ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებში და საავტომობილო გზებზე, უარყოფითად მოქმედებენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე, რაც იწვევს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობის ზრდას.

იმ მიზნით, რომ დაპყარდეს ჯეროვანი წესრიგი მოქალაქეთა მიერ საკარმიდამო ნაკვეთებზე მოწეული სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების (ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის) რეალიზაციის საქმეში, გაძლიერდეს ბრძოლა ამ პროდუქტებით სპეკულაციის წინააღმდეგ და აღიკვეთოს საზოგადოებრივი შრომისაგან იმ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების მუშათა გაუმართლებელი მოწყვეტა, რომლებიც მიდიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ აღნიშნული პროდუქტების გასაყიდად, აგრეთვე გაძლიერდეს კონტროლი საუწყებო ავტოტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის წესების დაცვისადმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

ა) დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ სატრანსპორტო საშუალებათა მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის საქმეში მკაცრი წესრიგის დასამყარებლად;

ბ) მკვეთრად გააძლიერონ საქვეუწყებო ავტომეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საუწყებო ავტომობილების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის არსებული წესის განუხრელი დაცვისათვის, მიიღონ მკაცრი დისციპლინური სასჯელის ზომები დაშვებული დარღვევებისათვის დამნაშავე პირთა მიმართ;

გ) აღკვეთონ სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ და ღამით ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარაჟების ან ამ მიზნით გამოყოფილი სპეციალური ტერიტორიების გარეთ, აგრეთვე მძღოლთა სახლებში დგომის შემთხვევები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მიიღონ დამატებითი ზომები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გაზიდვის თავიდან აცილებისათვის; უზრუნველყონ ამ პროდუქციის შეუფერხებელი მიღება დამამზადებელ პუნქტებში; გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სამუშაოთა ორგანიზაცია უშუალოდ სოფლებში მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; განახორციელონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ამ მიმართულებით მოსახლეობაში.

დაწესდეს, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და საწარმოთა ხელმძღვანელებს ეკისრებათ მკაცრი პერსონალური პასუხისმგებლობა საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ყოველგვარი ტრანსპორტით სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გაზიდვისათვის;

ე) რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საუწყებო ტრანსპორტის გაგზავნისას, აგრეთვე სხვა რესპუბლიკებიდან ავტოტრანსპორტის ჩამოსვლისას გასწიონ მძღოლთა შემადგენლობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გაზიდვის აკრძალვისათვის ზომების გამოყენების შესახებ და თვალყური ადევნონ ამ ტრანსპორტის დროულად დაბრუნებას მათი საგზაო დოკუმენტების ზუსტი შესაბამისობით;

ვ) უზრუნველყონ საჭირო დახმარება შინაგან საქმეთა ადგილობრივი ორგანოებისათვის, განსაკუთრებით რესპუბლიკის საზღვრებთან განლაგებულ სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოებზე, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გაზიდვის თავიდან აცილების საქმეში, გამოყონ ამ მიზნით თავიანთი წარმომადგენლები სამორიგეოდ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შინგან საქმეთა სამინისტროს:

ა) სისტემატური კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ავტომობილების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის არსებული წესის დაცვას, აგრეთვე არ დაუშვას მათი დგომა სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ გარაჟების ან სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი ადგილების გარეთ და მიიღოს საჭირო ზომები გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

ბ) იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული სატრანსპორტო საშუალებანი სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ და ღამით აღმოჩნდება გარაჟების, სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი დაცული ტერიტორიების გარეთ, აგრეთვე მძღოლთა სახლებში, აცნობოს ეს შესაბამის სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დისციპლინური სასჯელის ზომების მისაღებად.

ასეთივე დარღვევებისათვის იმავე ავტომობილების მძღოლთა ხელმეორედ დაკავებისას წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მასალები მას შემდეგ, რაც დადგინდება, თუ რომელ სამინიტროს, უწყებასა და ორგანიზაციას ეკუთვნის აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებანი, რათა ჩამოერთვათ ისინი მათ და გადაეცეთ სხვა სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებსაც ესაჭიროებათ ავტოტრანსპორტი და უზრუნველყოფენ მის ჯეროვანი მოვლა-შენახვას;

გ) რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაზიდვის მიზნით სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უკანონოდ დატვირთული ყოველგვარი საუწყებო სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დაკავებისას მასალები დამნაშავე პირთა შესახებ გადასცეს საგამომძიებლო ორგანოებს, ხოლო მოხსენებითი ბარათები სატრანსპორტო საშუალებათა ჩამორთმევის და სხვა სამინისტროებისა და უწყებებისათვის გადაცემის შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მას შემდეგ, რაც დადგინდება, თუ რომელ სამინისტროს, უწყებასა და ორგანიზაციას ეკუთვნის დაკავებული ავტომობილები, და ტვირთების გადაზიდვის უკანონობა;

დ) ჩამოართვას მოქალაქეებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასაყიდად უკანონოდ გასაზიდი სოფლის მეურნეობის პროდუქტები (ბოსტნეული, ხილი, ციტრუსოვანთა ნაყოფი).

ჩამორთმეული პროდუქცია ჩააბაროს საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ ბაზებს ან პუნქტებს, ხოლო მასალები ჩამორთმეული პროდუქციის კონფისკაციის შესახებ გადასცეს სახალხო სასამართლოს „სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვაჭრობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად განხილვისათვის;

ე) მიიღოს დამატებითი ზომები საკონტროლო-გასაშვებ პუნქტებში, რკინიგზის სადგურებში, საზღვაო ნავსადგურებსა და აეროვაგზლებში საგზაო ზედამხედველობისა და კონტროლის გასაძლიერებლად, რათა აღიკვეთოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ყოველგვარი ტრანსპორტით სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გაზიდვის ფაქტები;

ვ) პერიოდულად გაგზავნოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სხვა დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლებთან, აგრეთვე ტელევიზიისა და პრესის მუშაკებთან ერთად იმ მიზნით, რომ გამოავლინონ საქართველოს სსრ მოქალაქენი, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სპეკულაციას, და გამოაქვეყნონ მასალები მათ შესახებ;

ზ) მკაცრი კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობას იმ მიზნით, რომ არ დაუშვას მეურნეობებსა და ორგანიზაციებში ახალმიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან ავტომობილების შესაბამისი სადგომი ადგილებით და მათი მომსახურებისათვის საჭირო პირობებით.

3. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ:

ა) უზრუნველყოს ჩამორთმეული სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეუფერხებელი მიღება, ჯეროვანი აღრიცხვა და რეალიზაცია სისტემის ბაზებში ან პუნქტებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების კანონიერი გაზიდვის ამსახველი სატრანსპორტო დოკუმენტების საჭირო რაოდენობის ნიმუშებით.

4. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ სისტემატურად განახორციელოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინდივიდუალურ მფლობელთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების მოთხოვნების შესახებ, რომლის თანახმადაც აკრძალულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გაზიდვა ყოველგვარი ტრანსპორტით, მათ შორის ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი ავტომობილებით.

5. საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკურმა კომისიამ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მასალების მიხედვით განიხილოს თავის სხდომებზე ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შემოიტანოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად საკითხი იმ სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც არ დაუწესებიათ კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი.

6. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 8 იანვრის № 3, 1973 წლის 6 დეკემბრის № 706, 1976 წლის 9 მარტის № 183, და 1977 წლის 8 ივლისის № 500 დადგენილებანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 ივნისის № 617, 1973 წლის 20 ოქტომბრის № 1082 და 1974 წლის 3 ივლისის № 755 განკარგულებანი, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 21 ოქტომბრის № 1379 განკარგულების მე-2 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 12 მაისი, № 345

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 აპრილის № 187 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი ხელშემწყობი კომისიების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 18 მაისი, № 356

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 18 მაისის № 356 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიების შესახებ

1. ძირითადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ კანონით სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების შესახებ კონტროლი რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი ეკისრებათ სახალხო დეპუტატთა რაიონულ და საქალაქო საბჭოებს.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებისათვის დახმარების გაწევის მიზნით ისინი საზოგადოებრივ საწყისებზე ქმნიან რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობ კომისიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროების კვალობაზე რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიები (ჯგუფები) შეიძლება შეიქმნას სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასკომებთან (სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით).

2. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისია შედგება ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებისაგან.

კომისიის თავმჯდომარედ მტკიცდება, როგორც წესი, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის რაოდენობრივი შემადგენლობა განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რამდენია მოცემულ ადგილას მოქმედი რელიგიური ორგანიზაცია და რამდენად რელიგიურია მოსახლეობა.

3. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისია თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით იმ საკითხებზე, რომლებიც რელიგიებს შეეხება.

II. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიის ამოცანები

4. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიის მთავარი ამოცანაა დაეხმაროს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს იმ მხრივ, რომ კონტროლი გაუწიონ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დაცვას, რომლებითაც გარანტირებულია სინდისის თავისუფლება, რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების სწორად გამოყენებასა და შესრულებას, რათა რელიგიურ ორგანიზაციათა და კულტის მსახურთა საქმიანობა ხორციელდებოდეს კანონმდებლობის ფარგლებში, ხოლო მოქალაქეთა მიერ სინდისის თავისუფლების გამოყენება ზიანს არ აყენებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, სხვა მოქალაქეთა უფლებებს, არ იბღალებოდეს მორწმუნეთა და რელიგიურ გაერთიანებათა უფლებები და დაშვებული არ იქნეს უკანონო ჩარევა მათს კანონიკურ საქმიანობაში.

III. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიის უფლება-მოვალეობანი

5. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისია ეხმარება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს იმ მხრივ, რომ:

— **შეისწავლოს** რელიგიური ვითარება რაიონში, ქალაქში (სოფელში, დაბაში):

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამოავლინოს ფაქტიურად მოქმედი, რეგისტრაციაში გაუტარებელი, რელიგიური გაერთიანებანი და კულტის მსახურნი;

— კონტროლი გაუწიოს რელიგიურ გაერთიანებათა და კულტის მსახურთა მიერ რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვას;

— განახორციელოს კონტროლი თანამდებობის პირთა მიერ რელიგიური კულტების კანონმდებლობის შესრულებისადმი;

— განაზოგადოს მასალები კულტების კანონმდებლობის დარღვევათა შესახებ;

— განახორციელოს პროფილაქტიკური მუშაობა შრომითს კოლექტივებში რელიგიური კულტების კანონმდებლობის დარღვევათა თავიდან აცილების მიზნით;

—შეისწავლოს რელიგიურ ორგანიზაციათა და კულტის მსახურთა საქმიანობის ფორმები და მეთოდები, მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებზე მათი გავლენის, აგრეთვე სამღვდელოების მქადაგებლური საქმიანობის ფორმები და მეთოდები;

— შეამოწმოს მოქალაქეთა წერილები, განცხადებანი ან საჩივრები რელიგიური კულტების კანონმდებლობის დარღვევის საკითხებზე;

— შეამოწმოს რელიგიური ორგანიზაციებისათვის გამოსაყენებლად გადაცემული სამლოცველო შენობებისა და საკულტო ქონების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება აღნიშნული ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების დადგენილი წესების შესრულება.

6. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობ კომისიას უფლება აქვს:

— შეამოწმოს რელიგიურ გაერთიანებათა და კულტის მსახურთა საქმიანობა კულტების კანონმდებლობის დაცვის ნაწილში, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ კანონმდებლობის გამოყენებისა და შესრულების სისწორე;

— შეიტანოს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის განსახილველად წინადადებანი რელიგიური კულტების კანონმდებლობის გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრისა და დამნაშავეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

— მოისმინოს თავის სხდომებზე კომისიის წევრთა ანგარიშები მათთვის მიცემულ დავალებათა შესრულების შესახებ;

— განახორციელოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა რელიგიური კულტების კანონმდებლობის შესახებ.

რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობ კომისიას ადმინისტრაციული უფლებები არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

7. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისია თავის მუშაობას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად. აღნიშნული კომისიის მუშაობის ორგანიზაცია და მისი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა ეკისრება კომისიის თავმჯდომარეს.

კომისიის თითოეული წევრი პასუხს აგებს გარკვეული სამუშაო უბნისათვის.

8. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიის სხდომაზე, განსახილველ საკითხთა ხასიათის მიხედვით, შეიძლება მიწვეულ იქნენ შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ცალკეული მოქალაქეებიც.

კომისიის სხდომის ოქმში აისახება განხილული საკითხები და სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის განსახილველად შეტანილი წინადადებანი.

9. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის კომისია გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესასრულებლად.

10. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ეკისრებათ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს.

კომისიის მიერ გაწეული მუშაობისა და მისი საქმისწარმოების მასალები ინახება აღმასკომში როგორც სამსახურებრივი დოკუმენტაცია.

11. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობ კომისიას კავშირურთიერთობა აქვს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს მუდმივ კომისიებთან და მისი აღმასკომის დარგობრივ განყოფილებებთან და კოორდინაციას უწევს თავის მუშაობას მათს საქმიანობასთან რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისა და სწორად გამოყენების საკითხებზე, კერძოდ, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის საქმიანობასთან.

12. რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისია მუშაობს საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49 საქსახსოფლტექნიკის რაიონულ ქვედანაყოფთა ძალებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეო-ბათაშორისო საწარმოების სრული საწარმოო მომსახურების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქსახსოფლტექნიკის რაიონულ ქვედანაყოფთა ძალებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების სრული საწარმოო მომსახურების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 22 მაისი, № 372

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 22 მაისის № 372 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქსახსოფლტექნიკის რაიონულ ქვედანაყოფთა ძალებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების სრული საწარმოო მომსახურების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. 1. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების სრულ საწარმოო მომსახურებას ახორციელებს საქსახსოფლტექნიკის რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) სპეციალურ განყოფილებათა (მექანიზებულ რაზმთა) ძალებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 5 მაისის № 353 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად რესპუბლიკის რაიონების (რაიონის) მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურებისათვის ერთიანი საინჟინრო სამსახურის შექმნის საფუძველზე.

1. 2. რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) უზრუნველყოფს მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო, კულტურტექნიკურ და მიწასათხრელ სამუშაოთა მაღალ დონესა და ხარისხს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ყოველმხრივ აამაღლებს ამ სამუშაოთა წარმოების ტექნიკურ დონეს.

1. 3. რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) ოპერატიული მართვის საწყისებზე შეიძენს და გამოიყენებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას საკუთრების უფლებით, აგრეთვე მეურნეობების მიერ მისთვის იჯარით გადაცემულ ტექნიკას.

1. 4. რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების სრული საწარმოო მომსახურებისათვის თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და დებულებებით და ემორჩილება საქსახსოფლტექნიკას.

1. 5. რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) თავის საქმიანობას ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო მექანიზებულ სამუშაოთა შესასრულებლად მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

II. რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მიზნები და ამოცანები

2. 1. რაიონთაშორისსოფლტექნიკასა (რაისოფლტექნიკასა) და მეურნეობებს შორის საწარმოო-ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

2. 2. მომსახურებულ მეურნეობათა ეკონომიკის შემდგომი განმტკიცება.

2. 3. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დაჩქარება.

2. 4. მეურნეობებისათვის ხელშეწყობა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.

2. 5. მეურნეობების მიერ უმეტესი ეკონომიკური ეფექტის უზრუნველყოფა საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგიების გამოყენების და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა დანერგვის ბაზაზე.

2. 6. რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) პასუხისმგებლობის გაძლიერება მეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საგეგმო დავალებათა უცილობლივ შესრულებისა და საბოლოო შედეგებისათვის ტიპობრივი ხელშეკრულებების თანახმად.

2. 7. მანქანა-ტრაქტორთა პარკის, სამელიორაციო ტექნიკისა და მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების სხვა საშუალებათა მაღალეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.

2. 8. წარმოების სრულყოფა, მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდება, საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიის დაცვით.

2. 9. წარმოებული პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, ბრძოლა დანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგებისა და მოცდენების წინააღმდეგ წარმოების ყველა სტადიაში, ეკონომიის რეჟიმის განუხრელი დაცვა.

2. 10. რაიონთაშორისსოფლტექნიკასა (რაისოფლტექნიკასა) და მეურნეობებს შორის საწარმოო-სამეურნეო თანამშრომლობისა და საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის სრულყოფა. კვლავწარმოების ეკონომიკური პირობების გათანაბრება.

2. 11. მართვის სტრუქტურის სრულყოფა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, წარმოებული პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოების თვითღირებულების შემცირების შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების მიზნით, წარმოების რენტაბელობის ამაღლება.

2. 12. შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმების სრულყოფა.

2. 13. კადრების შერჩევა, განაწილება, მომზადება და აღზრდა, შრომის დისციპლინის განმტკიცება და კადრების შენარჩუნებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

2. 14. შრომის ყველაზე ხელსაყრელი სანიტარიულ-ჰიგიენური და უსაფრთხო პირობების შექმნა.

2. 15. სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება.

III. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების სრულ საწარმოო მომსახურებაზე გადაყვანის წესი

3. 1. რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მიერ სრულ საწარმოო მომსახურებაზე შეიძლება გადავიდნენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამეურნეობათაშორისო საწარმოები, რომლებიც მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ.

3. 2. რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) ძალებით სრულ საწარმოო მომსახურებაზე კოლმეურნეობების მისაღებად საფუძველს წარმოადგენს კოლმეურნეთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილება, შეთანხმებული რაიონულ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებთან, და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქსახსოფლტექნიკის შესაბამისი ბრძანება, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისათვის — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქსახსოფლტექნიკის ბრძანება.

3. 3. სრული საწარმოო მომსახურების შეწყვეტის საფუძველს კოლმეურნეობებისათვის წარმოადგენს კოლმეურნეთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილება, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის — მათი თხოვნა. ზემდგომი ორგანოს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვა (რეკომენდაცია) აუცილებელია ყველა შემთხვევაში.

3. 4. იმის შესახებ, რომ უარს ამბობენ სრულ საწარმოო მომსახურებაზე, მეურნეობები რაიონთაშორისსოფლტექნიკას (რაისოფლტექნიკას) გააფრთხილებენ სრული საწარმოო მომსახურების შეწყვეტამდე 6 თვით ადრე მაინც.

ანგარიშსწორება ხდება სამეურნეო წლის დამლევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. ქონება და სახსრები

4. 1. ქონების მფლობელობისა და გამოყენების უფლება ეძლევა რაიონთაშორისსოფლტექნიკას (რაისოფლტექნიკას) ძმართველის სახით ამ დებულების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. 2. რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) მოვალეა დაიცვას სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა, ამასთან რაციონალურად გამოიყენოს მისთვის მიჩენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა სახელმწიფო ქონება. თავის საქმიანობას იგი ახორციელებს სახალხო-სამეურნეო გეგმის სრული შესაბამისობით ზემდგომი ორგანოს (საქსახსოფლტექნიკის) ხელმძღვანელობით.

4. 3. კოლმეურნეობებში არსებული ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტექნიკური მომსახურების პუნქტები, ნავთობის საწყობები და სხვა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები გადაეცემა იჯარით (ან დარჩენილი ღირებულების ანაზღაურებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ ფონდების გამოყოფის შემთხვევაში), ხოლო საბჭოთა მეურნეობების მიერ — ბალანსიდან ბალანსზე რაიონთაშორისსოფლტექნიკას (რაისოფლტექნიკას). მიღებული ტექნიკის შემდგომი ტექნიკური მომსახურება და რემონტი ორგანიზდება რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) ხარჯზე.

ზედმეტ ტექნიკას კოლმეურნეობები გაყიდიან საკომისიო საწყისებზე ან დროებით დააყენებენ საკონსერვაციოდ.

4. 4. მეურნეობებისაგან ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სხვა ტექნიკის მიღებისას განისაზღვრება მათი ტექნიკური მდგომარეობა. მიღებულ უნდა იქნეს წესივრულ მდგომარეობაში არსებული ტექნიკა, ხოლო შესარემონტებელი ტექნიკა უნდა შერემონტდეს მეურნეობების ხარჯზე.

4. 5. საჭიროების შემთხვევაში მეურნეობებს შეუძლიათ დაიტოვონ საკუთარი მიზნებისათვის (მეცხოველეობის ფერმების მომსახურება) ზოგიერთი მარკის (მტზ, ტ-16, ტ-25) ტრაქტორები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მუშაობის მოცულობის შესაბამისად.

4. 6. რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ვადის განმავლობაში იხდის საამორტიზაციო ანარიცხების რენავაციულ (სრული აღდგენის) ნაწილს. გამოსადეგობის ვადის გასვლის შემდეგ კოლმეურნეობები ჩამოსწერენ ტექნიკას. ახალ საშუალებებს შეიძენს და მანქანა-ტრაქტორთა პარკს გააფართოებს რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა).

4. 7. საბჭოთა მეურნეობებს ეკრძალებათ, ხოლო კოლმეურნეობებს რეკომენდაცია არ ეძლევათ შემდგომში შეიძინონ ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები მექანიზებულ საველე სამუშაოთა შესასრულებლად.

4. 8. მეურნეობებისაგან მიიღება მხოლოდ ფაქტიურად არსებული და გამოსაყენებლად გამოსადეგი საბრუნავი საშუალებანი (მასალები, სამარაგო ნაწილები და სხვა მატერიალური ფასეულობანი). გამოსაყენებლად გამოუსადეგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მატერიალური ფასეულობანი (მორალურად გაცვეთილი, გაფუჭებული) ჩამოიწერება მეურნეობებში მათი საქმიანობის შედეგებიდან დადგენილი წესით.

4. 9. რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მუშაკები მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ ქონებას, სწორად გამოიყენონ ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სამელიორაციო და სხვა ტექნიკა.

4. 10. პირებს, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ქონების გაფუჭებაში და რაიონთაშორისსოფლტექნიკისათვის (რაისოფლტექნიკისათვის) მატერიალური ზარალის მიყენებაში, დაეკისრებათ პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

V. საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობა

5. 1. რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) საწარმოო-საფინანსო საქმიანობას განახორციელებს მეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების გეგმის მიხედვით, ამასთან დაიცავს ეკონომიის რეჟიმს, შეამცირებს წარმოებულ სამუშაოთა და გაწეული მომსახურების თვითღირებულებას, გაადიდებს წარმოების რენტაბელობას.

5. 2. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანება (სამმართველო) მეურნეობათა ხელმძღვანელობასთან და რაიონთაშორისსოფლტექნიკასთან (რაისოფლტექნიკასთან) ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს სახნავი ნაკვეთების გამსხვილების, მიწების ნაყოფიერების ამაღლების, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის მიზნით.

5. 3. რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სარაიონთაშორისო საწარმოებთან ერთად შეიმუშავებს და შეადგენს სამუშაო გეგმებს სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სამუშაოთა პერიოდების მიხედვით ხელშემკვრელ მხარეთა რესურსების რაც შეიძლება სრული და ეფექტიანი გამოყენების და წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლეს მიღწევათა დანერგვის გეგმების გათვალისწინებით.

5. 4. სამუშაოთა უკეთ ორგანიზაციისა და შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვისათვის მექანიზატორთა თითოეულ რგოლს, ტრაქტორისტთა, კომბაინერთა ჯგუფს გამოეყოფა გარკვეული ნაკვეთი. თითოეულ ტრაქტორისტს, კომბაინერს, მექანიზატორს (რგოლს, ბრიგადას) სამუშაოს დაუგეგმავენ რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) ხელმძღვანელები და კოლმეურნეობების გამგეობების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების ხელმძღვანელობა სამეურნეოანგარიშიანი დავალების სახით, რომელსაც დაამტკიცებენ რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მმართველი და მეურნეობის ხელმძღვანელი, და იგი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომლის შესრულების გათვალისწინებით ხდება მექანიზატორთა ძირითადი და დამატებითი ხელფასის ანგარიშსწორება.

5. 5. მიჩენილ ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის დასაბუთების გაანგარიშება ხდება რაიონთაშორისსოფლტექნიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(რაისოფლტექნიკის) და მეურნეობის უფროსი ეკონომისტის (ეკონომისტის), აგრეთვე ორივე მხარის აგრონომთა ხელმძღვანელობით.

VI. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების მოვალეობანი

6. 1. დროულად, წლის დაწყებამდე გააფორმონ რაიონთაშორისსოფლტექნიკასთან (რაისოფლტექნიკასთან) ტიპობრივი ხელშეკრულება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, სატრაქტორო სამუშაოთა შესრულების, მოსავლის აღების, კულტურტექნიკურ, მიწასათხრელ, სატრაქტორო-სატრანსპორტო და სხვა მექანიზებულ სამუშაოთა შესრულების შესახებ.

6. 2. დროულად მიუჩინონ რაიონთაშორისსოფლტექნიკას (რაისოფლტექნიკას) მიწის ნაკვეთები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესასრულებლად თესლბრუნვის სქემის სრული შესაბამისობით.

6. 3. განსაზღვრონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა და ტექნოლოგიური რუკების მიხედვით სამუშაოთა წარმოების რიგითობა.

6. 4. სრულყონ საყანე ფართობების სტრუქტურა, დანერგონ მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვები, უხვმოსავლიანი ჯიშები და ჰიბრიდები, მარცვლეულის, საკვები, ტექნიკური, ბოსტნეული და ხილ-კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანის სამრეწველო ტექნოლოგიები.

6. 5. მონაწილეობა მიიღონ რაიონთაშორის სოფლტექნიკასთან (რაისოფლტექნიკასთან) ერთად მემცენარეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე პროგნოზების შემუშავებაში. ამ პროგნოზების გათვალისწინებით შეიმუშაონ წარმოებაში მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის დანერგვის ღონისძიებანი.

6. 6. დროულად თავიანთ ხარჯზე შეასრულონ ხელის სამუშაოები მინდვრად, კალოებზე, ბაღებში, ვენახებში მანქანებისათვის სამუშაოთა ფრონტის მოსამზადებლად (კუთხეებისა და მოსაბრუნებელი ზოლების შემობარვა, ორმოების ამოვსება, ბაღების სხვლა, ვაზის ახვევა და ა. შ.).

6. 7. დროულად უზრუნველყონ რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) დაგეგმილი მოსავლის მიღებისათვის საჭირო კონდიციური თესლით.

6. 8. დაძაბულ პერიოდში ხელის სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტექნოლოგიის შესაბამისად განახორციელონ დამხმარე მუშათა (კოლმეურნეთა) ძალებით, იმ ვარაუდით, რომ მათ შრომა აუნაზღაურონ მეურნეობებმა.

6. 9. სისტემატურად შეამოწმონ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი და ვადა, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის დაცვა.

6. 10. მიიღონ შესრულებული სამუშაოები ან მათი ნაწილი და მთლიანად აანაზღაურონ ყველა შესრულებული სამუშაო წარდგენილი ანგარიშების მიხედვით ხელშეკრულებით დაწესებულ ვადებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. 11. მისცენ შესაძლებლობისამებრ თავიანთ ხარჯზე რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მექანიზატორებსა და სხვა მუშაკებს საერთო საცხოვრებლები და შეუქმნან მათ საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, ამასთან უზრუნველყონ კვება მეურნეობაში მოქმედი ფასების მიხედვით.

6. 12. შეუნარჩუნონ რაიონთაშორისსოფლტექნიკაში (რაისოფლტექნიკაში) სამუშაოდ გადასულ მექანიზატორებსა და სხვა მუშაკებს ყველა არსებული შეღავათი, რაც გათვალისწინებულია მეურნეობაში მიმდინარე წლისათვის. რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მექანიზატორთა და ხელმძღვანელთა დამატებითი მატერიალური სტიმულირება ზეგეგმითი პროდუქციის მიღებისათვის განხორციელდეს დამატებითი სტიმულირების დროებითი დებულების შესაბამისად.

6. 13. გაგზავნონ რაიონთაშორისსოფლტექნიკაში (რაისოფლტექნიკაში) საჭირო რაოდენობის კოლმეურნეები (საბჭოთა მეურნეობების მუშები) ტრაქტორისტ-მემანქანეთა, ზეინკალთა, შემდუღებელთა და სხვა სპეციალისტთა კურსებზე მოსამზადებლად.

6. 14. კოლმეურნეობამ (საბჭოთა მეურნეობამ) რაიონთაშორისსოფლტექნიკას (რაისოფლტექნიკას) შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიში გაუსწოროს საპრეისკურანტო ფასების, სატარიფო ფასდების მიხედვით, ხოლო მათი არარსებობისას — კალკულაციის ან სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიხედვით, რომელიც შეთანხმებული იქნება კოლმეურნეობასთან (საბჭოთა მეურნეობასთან) ტიპობრივი ხელშეკრულების შესაბამისად.

6. 15. კოლმეურნეობისათვის (საბჭოთა მეურნეობისათვის) შესრულებული სამუშაოების გამო, რაც დაკავშირებული არაა მიწათმოქმედებასთან, რაიონთაშორისსოფლტექნიკას (რაისოფლტექნიკას) ანგარიში გაუსწორდეს ამ სამუშაოებისათვის მოქმედი ფასდების მიხედვით.

VII. რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მოვალეობანი დაგეგმვის დარგში

7. 1. რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) შეიმუშავებს თავისი საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, რომელთაც დაამტკიცებს საქსახსოფლტექნიკა.

საწარმოო-საფინანსო გეგმების შემუშავებისას რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) გაითვალისწინებს შინაგანი რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას მემცენარეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, მოგების გადიდებას და რენტაბელობის დონის ამაღლებას.

7. 2. დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმისა და კოლმეურნეობებთან (საბჭოთა მეურნეობებთან) დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად რაიონთაშორისსოფლტექნიკა (რაისოფლტექნიკა) შეიმუშავებს წლიურ, კვარტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ და თვიურ სამუშაო გეგმებს, განახორციელებს კონტროლს და უზრუნველყოფს გეგმებისა და დავალებების შესრულებას რაც შეიძლება მეტი ეფექტით.

წარმოების განვითარების დარგში

7. 3. კონკრეტული პირობების შესაბამისად გამოიყენებს დადგენილი წესით დასაბუთებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებს, სათბობის, სარემონტო მასალებისა და სამარაგო ნაწილების, ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს.

7. 4. განახორციელებს თავისი ხარჯებითა და საშუალებებით მიჩენილი ტექნიკის რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას, თავის ხარჯზე გადაიყვანს რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) ტრაქტორისტ-მემანქანეებსა და სხვა მუშაკებს, აგრეთვე გადაიტანს ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო და სპეციალურ მანქანებს, მოწყობილობას, სათბობსა და საპოხ მასალებს სამუშაო ადგილზე და უკან სამუშაოთა დამთავრების შემდეგ.

7. 5. კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისაგან მიღებულ ტექნიკას გამოიყენებს მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლუატაციის წესების სრული დაცვით. ავარიის შემთხვევაში აღადგენს იჯარით მიღებულ ტექნიკას დამნაშავის ხარჯზე არსებული დებულების თანახმად და უზრუნველყოფს უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას.

7. 6. მაღალმწარმოებლურად გამოიყენებს მანქანა-ტრაქტორთა პარკს, საწარმოო სიმძლავრეებს, მოწყობილობასა და ელექტროაპარატურას, შეამცირებს წარმოებულ სამუშაოთა თვითღირებულებას, მკაცრად დაიცავს ეკონომიის რეჟიმს.

7.7. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მოთხოვნით აწარმოებს ტექნოლოგიური პროცესით გაუთვალისწინებელი ყველა სამუშაოს დამატებითი საფასურით.

7. 8. შეადგენს განაცხადებს და შეავსებს თავის ხარჯზე ტრაქტორთა პარკს ახალი ტექნიკით მომსახურებულ მეურნეობებში მექანიზებული სამუშაოების ყველა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე კეთილმოაწყობს საველე ბანაკებს.

7. 9. რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) ტრაქტორისტ-მემანქანეთა და სხვა მუშაკთა მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს მეურნეობებში მუშაობის რეჟიმის ანალოგიურად.

შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების დარგში

7. 10. შეიმუშავებს და დანერგავს წარმოებაში საწარმოო პროცესთა ყველაზე რაციონალური ორგანიზაციისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებებს.

7. 11. უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, შრომის ანაზღაურების მოქმედი დებულებებისა და რეკომენდაციების, გამომუშავების (მომსახურების) ტიპობრივი ნორმების, რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) ქვედანაყოფებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ნორმატივების დაცვას.

7. 12. მიაკუთვნებს საკვალიფიკაციო თანრიგებს რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მუშაკებს მოქმედი სატარიფო-საკვალიფიკაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. 13. უფლებას მისცემს საწარმოო მიზანშეწონილობის შემთხვევაში რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მუშაკებს პროფესიების შესაკებს ანგარიში ხელფასისა და რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექ-ცნობარების შესაბამისად.

ახალი პროფესიების მუშაკებს კვალიფიკაციას მიაკუთვნებს კოლმეურნეობათა რაიონულ საბჭოსთან შეთანხმებით.
თავსებლად, დადგენილი წესით ანაზღაურებით.

7. 14. ამ დებულების 7. 10-7. 13 ქვეპუნქტებში აღნიშნულ ღონისძიებებს განახორციელებს რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) სამმართველო ხელფასის ფონდის ფარგლებში პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში

7. 15. განსაზღვრავს საკუთარი-საბრუნავი სახსრების ნორმატივს ელემენტების მიხედვით, საგეგმო დავალებათა თანახმად და მატერიალურ ფასეულობათა მარაგისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად; უზრუნველყოფს მატერიალური და ფინანსური რესურსების, ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, ყველაზე რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას.

7. 16. შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საგეგმო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისათვის, წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის, უზრუნველყოფს, რომ დროულად გაუსწოროს სრულ საწარმოო მომსახურებაზე აყვანილ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებს და რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მუშაკებს ანგარიში ხელფასისა და რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექ-ნიკის) საწარმოო-საფინანსო გეგმებში და მეურნეობებთან დადებულ ტიპობრივ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა მიხედვით.

7. 17. დადგენილი წესით და ნორმების (ვადების) ფარგლებში ჩამოსწერს თავისი ბალანსიდან მორალურად მოძველებულ. გაცვეთილ და შემდგომი გამოყენებისათვის გამოუსადეგარ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას (ტრაქტორები, კომბაინები და სხვ.), როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელი ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და მისი რეალიზაცია არ შეიძლება.

7. 18. მოაწყობს და განახორციელებს საბუღალტრო, სტატისტიკურ და ოპერატიულ აღრიცხვას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვის საანგარიშო გეგმის მიხედვით, შეადგენს და წარუდგენს შესაბამის ორგანოებს დამტკიცებული ფორმების ანგარიშგებას დაწესებულ ვადებში და პასუხს აგებს მისი უტყუარობისათვის.

შრომისა და ბუნების დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დარგში

7. 19. განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სამეურნეო ნაყარით, ჩამდინარი წყლებითა და წარმოების ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან საჰაერო გარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოს, ნიადაგისა და წყალსატევების დასაცავად, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

7. 20. უზრუნველყოფს მუშაკთა ჯანმრთელობის დაცვასა და მათი შრომის უსაფრთხო პირობებს.

კადრების მომზადების, შერჩევისა და განაწილების დარგში

7. 21. განახორციელებს შესაბამისი პროფესიების კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას.

7. 22. განსაზღვრავს მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებსა და მასობრივი პროფესიების კადრებზე შესაბამისი დარგების მიხედვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციას გაუწევს მათ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

7. 23. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაგზავნის რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) მუშაკებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც ამზადებენ მექანიზატორთა კადრებს (შეკვეცილი პროგრამის მიხედვით). მასობრივი პროფესიების კადრების მოსამზადებელ და გადასამზადებელ კურსებზე და სკოლებში, ამასთან გადაუხდის სტიპენდიებს ან შეუნარჩუნებს ხელფასს სამუშაო ადგილზე სატარიფო განაკვეთის მიხედვით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში

7. 24. უზრუნველყოფს წარმოების ტექნიკური დონის განუწყვეტელ ამაღლებას, ტექნოლოგიურ პროცესთა სრულყოფას.

7. 25. მონაწილეობას მიიღებს მემცენარეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზების შემუშავებაში. ამ პროგნოზების გათვალისწინებით შემუშავებს წარმოებაში ტექნოლოგიისა და საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციის, ახალი ტექნიკის, ავტომატიზაციის საშუალებათა, მეცნიერების და მოწინავე პრაქტიკის მიღწევათა, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის ღონისძიებებს.

VIII. რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) ურთიერთობა მეურნეობებთან

8. 1. რაიონთაშორისსოფლტექნიკის (რაისოფლტექნიკის) ურთიერთობა სრულ საწარმოო-ტექნიკურ მომსახურებაზე აყვანილ მეურნეობებთან რეგულირებულია ამ დებულებით.

8. 2. ტიპობრივი ხელშეკრულება შეუთანხმდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და დაამტკიცებს საქსახსოფლტექნიკის თავმჯდომარე.

ტიპობრივი ხელშეკრულება დაიდება რაიონთაშორისსოფლტექნიკასა (რაისოფლტექნიკასა) და კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო საწარმოებს შორის მიწების დამუშავების, სასოფლო-სამეურნეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურების მოვლა-მოყვანის ყველა მექანიებული სამუშაოს, აგრეთვე ერო-ზიასაწინააღმდეგო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ხელშეკრულებაში აღინიშნება სამუშაოთა მოცულობა, ვადები, ერთეული ფასდება და მხარეთა პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა დროულად შესრულებისათვის.

8. 3. ხელშეკრულების დარღვევისათვის მხარეებს დაეკისრებათ ურთიერთ-პასუხისმგებლობა ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღ-ვრული პირობებისა და წესის შესაბამისად.

8. 4. რაიონთაშორისსოფლტექნიკასა (რაისოფლტექნიკასა) და მეურნეო-ბას შორის სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისას წამოჭრილი და-ვა განიხილება სასამართლოს ან არბიტრაჟის ორგანოებში დადგენილი წესით.

---

50 საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის ინსტრუქციისა და სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1981 წლის 1 ივნისიდან ინსტრუქცია საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბა-დოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ და ტოპო-გრაფიული გეგმის ასლის წარწერის, სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის ცნობის, სამთო ნაკვეთების აღრიცხვის წიგნის (რეესტრის) თანდართული ნიმუშები, აგ-რეთვე სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის ფორმა.

2. საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტმა, ავტონომი-ური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სა-ოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, მოყოლებუ-ლი 1983 წლიდან, აუკრძალონ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წი-აღისეულის საბადოთა შემდგომი დამუშავება საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც არა აქვთ საქართველოს სსრ მრეწველობის სა-მუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედვე-ლობის კომიტეტის მიერ რეგისტრირებული სამთო ნაკვეთები, ამ დადგენილე-ბით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1981 წ. 26 მაისი, № 380

ეროვნული ბიბლიოთეკა

 დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 26 მაისის № 380 დადგენილებით

ინსტრუქცია

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. ეს ინსტრუქცია სავალდებულოა იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ სამთო საწარმოთა დაპროექტებას, მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

2. საყოველთაოდ გავრცელებულ სასარგებლო წიაღისეულს განეკუთვნება: ქვიშა (საყალიბო, სამინე, ფაიფურ-ქაშანურის, ცემენტისა და ცეცხლგამძლე მასალების მრეწველობისათვის საჭირო ქვიშის გარდა), კენჭი, ხრეში, თიხა (ცეცხლგამძლე, ძნელდნობადი, საყალიბო, ფაიფურ-ქაშანურისა და ცემენტის მრეწველობის, ფლორიდინის, საღებავი, ბენტონიტური, მჟავაგამძლე და კაოლინის თიხის გარდა), თიხნარი (ცემენტის მრეწველობისათვის საჭირო თიხნარის გარდა), ყორექვა ქვიშაქვა, (ბიტუმოვანი, მოსაპირკეთებელი, დინასის და მინის მრეწველობისათვის საჭირო ქვიშაქვის გარდა), კვარციტი. (დინასის, ფლუსის, მოსაპირკეთებელი, რკინოვანი და სილიციუმკარბიდის, კრისტალური სილიციუმისა და ფეროშენადნობთა წარმოებისათვის საჭირო კვარციტის გარდა), ცარცი (ცემენტის, ქიმიური, მინის, რეზინის მრეწველობისათვის და ნეფელინისაგან თიხამიწის მიღებისათვის საჭირო ცარცის გარდა), დოლომიტი (სახერხი, მოსაპირკეთებელი, მეტალურგიული, ქიმიური და მინის მრეწველობისათვის საჭირო დოლომიტის გარდა), მერგელი (ბიტუმოვანი და ცემენტის მრეწველობისათვის საჭირო მერგელის გარდა), კირქვა (ბიტუმოვანი, მოსაპირკეთებელი, სახერხი, ცემენტის, მეტალურგიული, ქიმიური, მინის, ცელულოზა-ქაღალდისა და შაქრის მრეწველობისათვის, აგრეთვე თიხამიწის წარმოებისათვის საჭირო კირქვის გარდა), ნიჟარქვა, ფიქალი (საწვავი და სახურავი ფიქლის გარდა), არგილითი და ალევროლითი (ცემენტის მრეწველობაში გამოსაყენებლად გამოსადეგის გარდა), მაგმური, ვულკანოგენური და მეტამორფული ქანები (მოსაპირკეთებელი, დეკორატიული, ცეცხლგამძლე და მჟავაგამძლე მასალების, ქვის სხმულისა და მინერალური ბამბის მრეწველობისათვის საჭირო, აგრეთვე ცემენტის მრეწველობაში გამოსაყენებლად გამოსადეგი ქანების გარდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სამრეწველო დამუშავებისათვის საწარმოთა მშენებლობის დაფინანსება, საწარმოთა მშენებლობისა და საბადოს დამუშავების დაწყება დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამთო ნაკვეთი მიღებულ იქნება ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით, იგი რეგისტრაციაში გატარდება სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებში თანდართული ფორმის ცნობის მიხედვით და გაფორმდება მიწის ნაკვეთის გამოყოფა დადგენილი წესით.

შენიშვნები: 1. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლება არ წარმოადგენს საფუძველს აღნიშნულ ნაკვეთზე მდებარე სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო დამუშავებისათვის, ამ ინსტრუქციის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. 2) საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომელთაც მიიღეს სამთო ნაკვეთები თავიანთ მიწათსარგებლობის ფარგლებში, არ აფორმებენ მიწის ნაკვეთის გამოყოფას.

4. სამთო ნაკვეთი ეწოდება მიწის წიაღის ნაწილს, რომელიც მიზომილია მასში არსებული სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო დამუშავებისათვის.

სამთო ნაკვეთის ადგილმდებარეობა აისახება გეგმაზე და სხვა თვალსაჩინო გრაფიკულ დოკუმენტებზე (ვერტიკალური სიბრტყის პროექცია, ჭრილები) და დამატებით დაზუსტდება სიის მიხედვით სამთო ნაკვეთის ყველა იმ კუთხის წერტილის კოორდინატი, რომლებიც გრაფიკულად განისაზღვრება გეგმაზე.

სამთო ნაკვეთის ფართობი, როგორც წესი, უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების იმ მოცულობას, რაც დაუწესდათ ნაკვეთმიზომილ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

5. მიწის ნაკვეთი გამოიყოფა დადგენილი წესით სამთო ნაკვეთის გაფორმების შემდეგ, ამასთან მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა და ფართობი განისაზღვრება სამთო ნაკვეთის ადგილმდებარეობისა და ფართობის, აგრეთვე საბადოს დამუშავების წესის შესაბამისად.

სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტი უფლებას არ აძლევს საწარმოებსა და ორგანიზაციებს აწარმოონ სასარგებლო წიაღისეულის საბადოს სამრეწველო დამუშავება მანამ, სანამ მიწის ნაკვეთის გამოყოფას არ გააფორმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დადგენილი წესით.

6. ყოველგვარი მიწის, მათ შორის ტყითა და წყლით დაფარული მიწის, წიაღში არსებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სამრეწველო დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთებს მიუზომავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომები, რომელთა გამგებლობაშიც არის ეს მიწები.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომები აუცილებლად გაატარებენ რეგისტრაციაში მისაზომ სამთო ნაკვეთებს საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტში.

შენიშვნები: 1) სამთო ნაკვეთები, რომელთაც სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომები მიუზომავენ სსრ კავშირის სატრანს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტო მშენებლობის სამინისტროს, გზათა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტში არ რეგისტრირდება. ამ სამთო ნაკვეთების რეგისტრაცია ხდება სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის შესაბამის ორგანოებში. 2) ორი ან მეტი რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ სამთო ნაკვეთს მიუზომავს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო საბჭოს ერთ-ერთი აღმასკომი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების შესაბამისად.

7. სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა სამთო ნაკვეთების მიზომვის საკითხების გადაწყვეტისას უნდა უზრუნველყონ:

ა) საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა და მათი განლაგების ფართობის სწორი, სახალხო-სამეურნეო თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელი, გამოყენება;

ბ) სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ცალკეულ სამთო ნაკვეთებად სწორი დანაწილება, ამასთან არ დაუშვან სამთო ნაკვეთებში შეუტანლად იმ საბადოთა ნაკვეთების დატოვება, რომლებიც გამოუსადეგარია დამოუკიდებელი დამუშავებისათვის;

გ) სამთო ნაკვეთების მიზომვა საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მხოლოდ დაზვერილი მარაგის დასამუშავებლად;

დ) სასარგებლო წიაღისეულის ერთი საბადოს ერთობლივი დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვასთან დაკავშირებით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის სამართლებრივი და სამეურნეო ურთიერთობის სწორი რეგულირება;

ე) სახელმწიფო ინტერესებისა და კოლმეურნეობის ინტერესების დაცვა კოლმეურნეობათა მიწებზე განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვისას;

ვ) საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან წერილობით ვალდებულებათა მიღება იმის შესახებ, რომ დაიცავენ სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელ თანდართულ აქტში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.

8. სპეციალური დანიშნულების მიწების ფარგლებში განლაგებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვა ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ხდება მხოლოდ იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თანხმობით, რომელთა გამგებლობაშიც არის ეს მიწები.

9. საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მათთვის მიცემული მიწათსარგებლობის ფარგლებში უფლება აქვთ სამთო ნაკვეთის მიზომვის გაუფორმებლად დაამუშაონ საკუთარი საჭიროებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოები ღია წესით, არა უმეტეს 2 მეტრი სიმაღლის ერთი საფეხურით, ამასთან არ გამოიყენონ ასაფეთქებელი სამუშაო-

ები და გრუნტის წყლების ჰორიზონტის არსებობისას აუცილებლად უზრუნ-
ველყონ მისი იზოლაცია.

10. სამთო ნაკვეთები მიეზომებათ მხოლოდ იმ საწარმოებს, დაწესებულე-
ებსა და ორგანიზაციებს, რომელთა ამოცანას შეადგენს, მათი წესდებების, დე-
ბულებების ან ზემდგომი ორგანოების დადგენილებების თანახმად, საყოველ-
თაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავება.

11. სამთო ნაკვეთი, როგორც წესი, მიეზომება ერთ საწარმოს, დაწესებუ-
ლებას ან ორგანიზაციას საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისე-
ულის მთელი საბადოს დასამუშავებლად. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში
ერთი საბადოს დასამუშავებლად სამთო ნაკვეთები შეიძლება მიეზომოს რამდე-
ნიმე საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას იმ პირობით, თუ ურთი-
ერთშეათანხმებენ მათ დაპროექტებას, შეთანხმებულად აწარმოებენ მშენებლო-
ბას, ერთობლივად დაამუშავებენ საბადოს და უზრუნველყოფენ სამთო სამუშა-
ოთა წარმოების უსაფრთხოებას.

12. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვე-
ბელ დასაპროექტებელ საწარმოთათვის, რომელთა კაპიტალური დაბანდების
მოცულობა 100 ათას მანეთს აღემატება (სატრანსპორტო და ძალური მეურნე-
ობის ობიექტების მშენებლობის ღირებულების გარდა), მოთხოვნილი სამთო ნა-
კვეთის ფარგლებში, სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგი უნდა და-
ამტკიცოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სასარგებლო წიაღი-
სეულის მარაგის სახელმწიფო კომისიამ ან ტერიტორიულმა კომისიამ.

13. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებე-
ლი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთაც
სამთო ნაკვეთი უკვე აქვთ მიზომილი ადრე დადგენილი წესით, ამ სამთო ნაკ-
ვეთის გადაფორმება სავალდებულო არაა და ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ საჭირო იქნება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ წიაღით
სარგებლობის უფლების, მომიჯნავე სამთო ნაკვეთებს შორის საზღვრების რე-
გულირების სადავო საკითხების გადაწყვეტა, აგრეთვე სახელმწიფო სამთო ზე-
დამხედველობის შესაბამისი ორგანოების მოთხოვნით სამთო სამუშაოთა უსა-
ფრთხოდ წარმოების წესების დაცვის მიზნით.

14. სამთო ნაკვეთის კონტურებს გარეთ სასარგებლო წიაღისეულის საბა-
დოთა დამუშავება აკრძალულია. მიზომილი სამთო ნაკვეთის კონტურებს გარეთ
საბადოს შემდგომი დამუშავებისათვის ნებართვის მისაღებად საჭიროა გაფორ-
მდეს ახალი სამთო ნაკვეთის მიზომვა.

15. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის მიზომილი სამთო
ნაკვეთის გადაცემა მთლიანად ან ნაწილობრივ დროებით ან მუდმივ სარგებლო-
ბაში სხვა სამინისტროთა, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებათა საწარმოე-
ბის, დაწესებულებების ან ორგანიზაციებისათვის ხდება ახალი სამთო ნაკვეთის
მისაღებად დადგენილი წესის მიხედვით.

16. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის სამთო მეურნეობის ლი-
კვიდაციის ან კონსერვაციის დროს სამთო ნაკვეთების ტექნიკური დოკუმენტა-
ცია სამარკშაიდერო და გეოლოგიური გრაფიკული დოკუმენტებითურთ 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის ვადაში უნდა გადაეცეს ზემდგომ ორგანიზაციას, ხოლო ამ დოკუმენტების ასლები ამავე ვადაში უნდა გადაეცეთ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ მიზომილი მომიჯნავე სამთო ნაკვეთები, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტები უნდა დაუბრუნდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომელმაც მიუზომა სამთო ნაკვეთი, სამთო მეურნეობის ლიკვიდაციის ან კონსერვაციის შესახებ აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

ცნობა სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ დაინტერესებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელწერილის ასლებთან ერთად მათ მიერ სამარკშაიდერო და გეოლოგიური გრაფიკული დოკუმენტების მიღების თაობაზე უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოს, რომელმაც გასცა ეს ცნობა, სამთო მეურნეობის ლიკვიდაციის ან კონსერვაციის შემდეგ არა უგვიანეს 15 დღის ვადაში.

სამთო ნაკვეთების მიზომვის წესი

17. სამთო ნაკვეთის მისაღებად საწარმომ, დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ, რომელიც თხოულობს სამთო ნაკვეთს, უნდა წარუდგინოს განაცხადი სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს დასამუშავებლად გათვალისწინებული საბადოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

განაცხადში აღინიშნება განმცხადებელი საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის სრული დასახელება და მისამართი, თხოვნის არსი, დასამუშავებელი საბადოს (მისი ნაწილის) და სასარგებლო წიაღისეულის დასახელება, სამთო ნაკვეთის ადგილმდებარეობა, მისი ფართობი, სამთო მეურნეობის საწარმოო სიმძლავრე, საბადოს დამუშავების გათვალისწინებული წესი და ვადები.

განაცხადს თან დაერთვის:

ა) განაცხადის წარდგენის მომენტისათვის კორექტირებული ტოპოგრაფიული გეგმის ასლი არანაკლებ 1:5000 მასშტაბით, რომელზეც აისახება მოთხოვნილი სამთო ნაკვეთის და დასამუშავებლად გათვალისწინებული საბადოს კონტურები, მახლობელი მოქმედი სამთო ნაკვეთების (თუ ასეთი არსებობს), საბადოს ფარგლებში სადაზვერვო და სამთო გვირაბების საზღვრები, ადგილმდებარეობის რელიეფის, ბუნებრივი ობიექტების, არსებული და ასაშენებელი ნაგებობებისა, საცხოვრებელი სახლებისა და ადგილმდებარეობის სხვა ელემენტების საზღვრები სამთო ნაკვეთის ფარგლებში და მის მახლობლად;

ბ) წესდების, დებულების ან ზემდგომი ორგანოს დადგენილების ამონაწერი, რომელიც ადასტურებს, რომ საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას, რომელიც სამთო ნაკვეთის მიზომვას მოითხოვს, აქვს სამთო სამუშაოთა წარმოების უფლება

გ) განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღინიშნება დასამუშავებელი საბადოს დაზვერვის დონე და გეოლოგიური აგებულება, საწარმოს, დაწესებულების

ან ორგანიზაციის სამთო მეურნეობის დანიშნულება, სამთო ნაკვეთის დამუშავების წესი და ვადა, სამთო სამუშაოთა განვითარება წლების მიხედვით, საბადოს ფარგლებში წინათ შესრულებული სამთო სამუშაოები და სხვა მაჩვენებლები;

დ) ცნობა საბადოს დაზვერვის შესახებ, რომელშიც აღინიშნება სამთო ნაკვეთის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის მთელი საბალანსო მარაგის რაოდენობა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიის და ტერიტორიული კომისიის მიერ დამტკიცებული მარაგის რაოდენობა (თუ ასეთი არსებობს);

ე) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობა ნიადაგის მოხსნილი ნაყოფიერი ფენის რეკულტივაციისა და გამოყენების ტექნიკური პირობების შესახებ;

ვ) ცნობა და სხვა დოკუმენტები იმის შესახებ, რომ სამთო ნაკვეთის მიღების საკითხი შეთანხმებულია დაინტერესებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

18. განაცხადი და თანდართული დოკუმენტები სამთო ნაკვეთის მისაღებად შედგენილი უნდა იყოს სამ ცალად, ხელს უნდა აწერდნენ შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. ხელმოწერა დამოწმდება ბეჭდით.

19. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომი მოვალეა განიხილოს განაცხადი თანდართული დოკუმენტებითურთ და მთელი საჭირო მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 20 დღისა გაიტანოს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ეცნობებათ განმცხადებელსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

20. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში ორი თვის ვადაში გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

საჩივრის ასლი უნდა გაეგზავნოს ამავე დროს გადაწყვეტილების მიმღებ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომელიც მოვალეა საჩივრის ასლის მიღებიდან სამი დღის ვადაში გაუგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს ან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს მთელი მასალები სადავო საკითხზე საჩივრის არსის განმარტებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების ან სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

21. სამთო ნაკვეთის მიზომვა ფორმდება სამ ცალად შედგენილი შემდეგი დოკუმენტების შესაბამისად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომის ოქმის ამონაწერი;

ბ) სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტი;

გ) ტოპოგრაფიული გეგმის ასლის წარწერა ამ ინსტრუქციის № 1 დანართის თანახმად დაწესებული ფორმის მიხედვით.

სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტი და ტოპოგრაფიული გეგმის ასლი სამთო ნაკვეთის გამოსახულებითა და გაფორმებული წარწერითურთ წარმოადგენენ იურიდიულ დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ საბადოს (ფენის, ლინზის და ა. შ.) საზღვრებს, რომელთა ფარგლებშიც მიეცა საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას აქტში აღნიშნული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს სამრეწველო დამუშავების უფლება.

22. უსაფრთხოების წესებისა და სამთო სამუშაოთა სწორად წარმოების სხვა ძირითადი მოთხოვნების დაცვის შესახებ იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ვალდებულებანი, რომელთაც მიეზომათ სამთო ნაკვეთები, ჩამოყალიბდება სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელ აქტში, რომელსაც ხელს მოაწერენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და განმცხადებელი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

23. სამთო ნაკვეთის მიზომვის გაფორმების ამსახველი ყველა მასალის ერთი ცალი გადაეცემა განმცხადებელს, მეორე ცალი ინახება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქივში, ხოლო მესამე ცალი გადაეცემათ სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებს სამთო ნაკვეთის მიზომვის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

24. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს შეუძლია ჩამოართვას სამთო ნაკვეთები მათ მოსარგებლე საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს საქართველოს სსრ წიაღის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შენიშვნა; სამთო ნაკვეთის ჩამორთმევის შესახებ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომი 10 დღის ვადაში შეატყობინებს სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის შესაბამის ორგანოებს.

25. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ მიზომილი სამთო ნაკვეთები აღირიცხება სამთო ნაკვეთების აღრიცხვის წიგნში (რეესტრში) ამ ინსტრუქციის № 3 დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 26 მაისის № 380 დადგენილებით

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი

ა ქ ტ ი

19 ——— წლის „———“ ———————

———————————————————————

(სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის დასახელება)

———————————————————————

(ოლქის, რესპუბლიკის დასახელება)

——————————————————————— განაცხადით

(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული დასახელება)

მიეცა ———————————————————————

(საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის დასახელება)

სამრეწველო დამუშავებისათვის ———————————————

(სოფლის, სასოფლო საბჭოს, რაიონის, ოლქის,

——————————— განლაგებული სამთო ნაკვეთი საზღვრებში,

რესპუბლიკის დასახელება)

რომლებიც ტოპოგრაფიული გეგმის თანდართულ ასლზე აღნიშნულია კუთხის პუნქტებით 1, 2, 3 . . . . . .1, ფართობით ——————— ჰექტარი.

(სიტყვებით)

ეს აქტი შედგენილია სამ ცალად და შეტანილია ———————

(სახალხო დეპუტატთა

———————————————————————

რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის დასახელება)

№ ——— ით. სამთო ნაკვეთის დამუშავებისას ———————

(საწარმოს, დაწესებულების,

——————————— მოვალეა შეასრულოს შემდეგი მოთხოვნები:

ორგანიზაციის დასახელება)

1. აწარმოოს მიწის სამუშაოები **პროექტის** შესაბამისად და დაიცვას სამთო, ასაფეთქებელ და სამარკშაიდერო **სამუშაოთა** წარმოების **უსაფრთხოების** ინსტრუქციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სამთო ნაკვეთის ფარგლებში სამუშაოთა ხელმძღვანელობა დაეკისროს ისეთ პირს, რომელსაც აქვს სამთო სამუშაოთა პასუხსაგები წარმოების უფლება.

3. სამთო ნაკვეთის დამუშავებისას სამთო სამუშაოთა მავნე ზეგავლენისაგან დაცულ უნდა იქნეს პროექტით გათვალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობა და ბუნებრივი ობიექტი.

4. სამთო სამუშაოთა დაწყებამდე 15 დღით ადრე აცნობოს სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებს.

5. სამთო მეურნეობის ლიკვიდაციის ან კონსერვაციის შემთხვევაში სამუშაოთა ადგილი მიმდებარე ტერიტორიასთან ერთად მოიყვანოს უსაფრთხო მდგომარეობაში. სამთო სამუშაოთა შედეგად დარღვეულ ტერიტორიაზე განახორციელოს რეკულტივაცია და იგი გადასცეს ყოფილ მიწათმოსარგებლეს.

აქტი დაუბრუნოს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს სამთო მეურნეობის ლიკვიდაციის (კონსერვაციის) შესახებ აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

ცნობა სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ დაინტერესებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელწერილის ასლებთან ერთად მათ მიერ სამარკშაიდერო და გეოლოგიური დოკუმენტების ასლების მიღების თაობაზე უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოს, რომელმაც გასცა ეს ცნობა, სამთო მეურნეობის ლიკვიდაციის ან კონსერვაციის შემდეგ არა უგვიანეს 15 დღის ვადაში.

აქტი ძალას კარგავს და უნდა დაუბრუნდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, თუ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ორი წლის განმავლობაში არ დაუწყია სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება.

ბ. ა. _____ თავმჯდომარე
(სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის დასახელება)

_____(ხელმოწერა)

ბ. ა. _____ ხელმძღვანელი
(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება)

_____(ხელმოწერა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 26 მაისის № 380 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის ინსტრუქციის დანართი № 1

ცნობა

19 ——— წლის „———“ ——————— საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა ———————
(სასარგებლო წიაღისეულის

——————— სამრეწველო დამუშავებისათვის ———————
საბადოს დასახელება) (სიტყვებით)

ჰექტარი ფართობის სამთო ნაკვეთი, რომელიც ———————
(სახალხო დეპუტატთა

——————— მიუზომა
რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის დასახელება)

———————
(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული დასახელება)

სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი № ——— აქტის მიხედვით.

საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა
უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და
სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე

ბ. ა.

——————— (ხელმოწერა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 26 მაისის № 380 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის ინსტრუქციის დანართი № 2

ტოპოგრაფიული გეგმის ასლის წარწერის ნიმუში

ამ გეგმაზე გამოსახული _____
(საბადოს დასახელება)

_____ ჰექტარი ფართობის სამთო ნაკვეთი
(სიტყვებით)

საზღვრებში, რომლებიც აღნიშნულია კუთხის პუნქტებით 1, 2, 3 . . .
. . . . . 1, _____

_____
(სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის

_____ მიუზომა _____
დასახელება) (საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული დასახელება)

_____ სამრეწველო დამუშავებისათვის.
(სასარგებლო წიაღისეულის დასახელება)

გეგმა თან ერთვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელ № ——— აქტს, რომელიც გაცემულია 19 ——— წლის „———“ _____.

_____ თავმჯდომარე
(სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს
აღმასკომის დასახელება)

ბ. ა.

_____ (ხელმოწერა)

_____ მდივანი
(სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს
აღმასკომის დასახელება)

_____ (ხელმოწერა)

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 26 მაისის № 380 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის ინსტრუქციის დანართი № 3

——————სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომი

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის მიზომილი სამთო ნაკვეთების აღრიცხვის წიგნი (რეესტრი)

სამთო ნაკვეთის სარეესტრო ნომერი	სამთო ნაკვეთის მიზომვის თარიღი	სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დასახელება	სამთო ნაკვეთის ფართობი (ჰექტარი)	დასამუშავებელი სასარგებლო წიაღისეულის დასახელება	სასარგებლო წიაღისეულის მარაგი საბადოს დაზვერვის მდგომარეობის მიხედვით წლისათვის	ნაკვეთის გამოყოფის ადგილი (სოფელი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)	სამთო ნაკვეთის მიმღები საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული დასახელება და მისამართი, აგრეთვე დაქვემდებარება (ტრესტი, სამინისტრო, უწყება)	დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც მიეცა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას სამთო ნაკვეთის გადმორიცხვისას	აღნიშვნები საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის (კონსერვაციის), სამთო ნაკვეთის ფართობის შეცვლის, მისი ჩამორთმევის შესახებ მიზეზების მითითებით	შენიშვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

51 ექსპერტებისა და სპეციალისტებისათვის ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესისა და ოდენობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლისა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე და 95-ე მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია ექსპერტებისა და სპეციალისტებისათვის ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესისა და ოდენობის შესახებ.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 ივლისის № 410 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის ტექსტიდან „მოწმეებისა, დაზარალებულებისა, ექსპერტებისა, თარჯიმნებისა და დამსწრეებისათვის ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესისა და ოდენობის შესახებ“ ამოღებულ იქნეს სიტყვა „ექსპერტი“.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 აგვისტოს № 476 დადგენილება „სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ, 8 ივნისი, № 401

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 9 ივნისის № 401 დადგენილებით

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

ექსპერტებისა და სპეციალისტებისათვის ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესისა და ოდენობის შესახებ

1. ექსპერტებსა და სპეციალისტებს, რომლებიც გამოძახებული არიან მომკვლევ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე დასკვნების ან ახსნა-განმარტებების მისაცემად, უფლება აქვთ აუნაზღაურდეთ გამოცხადებისათვის მათ მიერ გაწეული ხარჯები (მგზავრობის ღირებულება გამოძახების ადგილამდე — იქით და აქეთ, საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები, დღიურები).

ექსპერტებსა და სპეციალისტებს უფლება აქვთ მიიღონ გასამრჯელო თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოვალეობა შესრულებულია სამსახურებრივი დავალების წესით.

2. ექსპერტებსა და სპეციალისტებს გამოცხადების ხარჯები აუნაზღაურდებათ „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 46 დადგენილების შესაბამისად.

3. ექსპერტებსა და სპეციალისტებს, რომელთაც შესაბამისი ორგანოები მიიწვევენ დასკვნებისა და ახსნა-განმარტებების მისაცემად სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა გამოძიებასთან და განხილვასთან დაკავშირებით, დაუწესდებათ გასამრჯელო 1 საათის მუშაობისათვის 1 მანეთისა და 10 კაპიკის ოდენობით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ექსპერტიზის ჩასატარებლად მიწვეული არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ან სამუშაო განსაკუთრებით რთულია, ექსპერტს გასამრჯელო შეიძლება დაუწესდეს ზემოაღნიშნული ოდენობის გადამეტებით, მაგრამ არა უმეტეს 2 მანეთისა საათში.

4. ამ ინსტრუქციის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად ექსპერტებსა და გამომძახებელი ორგანოები: სისხლის სამართლის საქმეებზე — იმ სახსრებიდან, განისაზღვრება, მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის გასამრჯელო გაიცემა-რომლებიც სპეციალურად გამოყოფილია ხარჯთაღრიცხვით აღნიშნული მიზნებისათვის, ხოლო სამოქალაქო საქმეებზე — მხარეთა მიერ შეტანილი თანხებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები განთავისუფლებული არიან საქმის გამო სასამართლო ხარჯების გადახდისაგან; ამ შემთხვევებში თანხები გაიცემა ხარჯთაღრიცხვით გამოყოფილი სახსრებიდან.

5. ექსპერტებისა და სპეციალისტებისათვის გასამრჯელოს საერთო თანხა განისაზღვრება, მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის გასამრჯელო გაიცემა აგრეთვე გამოცხადების ხარჯები, ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით გაწეული სხვა ფაქტიური ხარჯები ანაზღაურდება მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

6. ექსპერტებსა და სპეციალისტებს კუთვნილ თანხებს მისცემს მათი გამომძახებელი ორგანო ამ პირთა მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებისთანავე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ფაქტიურად მიღებული და მხარეებისათვის გადახდევინებული სასამართლო ხარჯები სამოქალაქო საქმეებზე ან სასამართლო ხარჯები სისხლის სამართლის საქმეებზე მსჯავრდადებულთათვის.

ამ თანხებს გასცემს გამომძახებელი ორგანო. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი ან სპეციალისტი გაგზავნილი იყო საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიერ, ანაზღაურება მოხდება ზემოაღნიშნული ლაბორატორიის მეშვეობით.

7. მომკვლევ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში ექსპერტად ანდა სპეციალისტად გამოძახებულ სამხედრო მოსამსახურეებს ხარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯები (მგზავრობის ღირებულება გამოძახების ადგილამდე — იქით და აქეთ, ცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები, დღიურები) აუნაზღაურდებათ ჯარის ნაწილის მოთხოვნით დაწესებული ნორმების თანახმად. თვით სამხედრო მოსამსახურეებს მათი გამომძახებელი ორგანო არავითარ ხარჯებს არ აუნაზღაურებს.

8. საარბიტრაჟო საქმეებზე სამუშაოთა შესასრულებლად მიწვეული ექსპერტებისა და სპეციალისტებისათვის ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესი და ოდენობა განისაზღვრება ამ ინსტრუქციის შესაბამისად.

---

52 მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების შესახებ

მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების შემდგომი მოწესრიგების, აგრეთვე სახელმწიფო მიმღები კომისიების მუშაობისადმი მოთხოვნების გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 იანვრის № 105 დადგენილება „მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების შესახებ“ (თან ერთვის).

2. დაწესდეს, რომ:

ა) სარწყავ და დამშრობ სისტემებს, ამ სისტემების ნორმალური ექსპლუატაციისა და მიწების გამოყენებისათვის საჭირო წყალსამეურნეო ნაგებობებს, ობიექტებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1-დან 3 მილიონ მანეთამდე, საექსპლუატაციოდ მიიღებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები, თუ ობიექტების მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებებს გამოყოფს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძიერ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები, თუ ობიექტების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებანი გამოეყო ამ სამინისტროს:

ბ) ამ დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ობიექტებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1 მილიონ მანეთამდე, საექსპლუატაციოდ მიიღებენ საქმთავარწყალმშენის მიერ დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გამოყო კაპიტალური დაბანდებანი ობიექტების მშენებლობისათვის;

გ) სარწყავ და დაშრობილ მიწებს ყოველწლიურად სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობის პროცესში, აგრეთვე აღნიშნული მიწების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილს, როცა ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა 1 წლამდეა, საექსპლუატაციოდ მიიღებენ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ან საქმთავარწყალმშენის მიერ დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები;

ღ) სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), აგრეთვე კოლმეურნეობების სახსრებით აშენებულ საწარმოო დანიშნულების ობიექტებს საექსპლუატაციოდ მიიღებენ სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების მიერ დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები, თუ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1 მილიონ მანეთამდე, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები, თუ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება აღემატება 1 მილიონ მანეთს;

ე) საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 იანვრის № 105 დადგენილების მე-2 პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ობიექტების, აგრეთვე ქალაქების, დაბებისა და საკურორტო ზონების გარეთ რკინიგზების განთვისების ზოლში განლაგებული საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ყველა ობიექტის გარდა, საექსპლუატაციოდ მიიღებენ საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები.

ამ ქვეპუნქტში აღნიშნული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიების დანიშვნა შეუძლიათ აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო ან ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომებს ამ ობიექტების შემკვეთ (მენაშენე) სამინისტროთა და უწყებათა თანხმობით.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორების, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაწილეობით განახორციელოს შერჩევითი კონტროლი იმისადმი, თუ როგორ იცავენ სახელმწიფო მიმღები კომისიები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 იანვრის № 105 დადგენილებით გათვალისწინებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესებს, და ამ წესების დარღვევის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება შემოწმებულ ობიექტებზე საანგარიშგებო მონაცემების შეცვლის შესახებ და წარმოადგინოს წინადადებანი დამნაშავე პირთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომელთაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 9 ივნისი, № 403

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 105

1981 წლის 23 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების შესახებ

მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების შემდგომი მოწესრიგების, აგრეთვე სახელმწიფო მიმღები კომისიების მუშაობისადმი მოთხოვნების გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ობიექტებს, რომელთა მშენებლობა (რეკონსტრუქცია, გაფართოება) დამთავრებულია დამტკიცებული პროექტის შესაბამისად და მომზადებულია საექსპლუატაციოდ, შემკვეთი (მენაშენე) მისაღებად წარუდგენს სახელმწიფო მიმღებ კომისიებს.

მშენებლობადამთავრებულ ობიექტებს, რომლებიც გამზადებულია ჩასაბარებლად, სახელმწიფო მიმღებ კომისიებს მისაღებად წარუდგენს მოიჯარე შემკვეთთან ერთად.

2. დაწესდეს, რომ:

ა) საწარმოო დანიშნულების უნიკალურ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებს, მათ შორის ატომურ ელექტროსადგურებსა და მათ რიგებს, საექსპლუატაციოდ მიიღებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები. ამ ობიექტების ნუსხა განისაზღვრება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიურ გეგმებში;

ბ) საწარმოო დანიშნულების ობიექტებს (ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულის გარდა), რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 3 მილიონი მანეთი და მეტი, აგრეთვე ექსპერიმენტულ ობიექტებს, მათი სახარჯთა-

ღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომელთაც ნიშნავენ:

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები — მათ სისტემაში შემავალი ობიექტებისათვის, თუ კაპიტალური დაბანდებანი ობიექტების მშენებლობისათვის გამოეყოთ სსრ კავშირის ამ სამინისტროებსა და უწყებებს;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები — მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ობიექტებისათვის, თუ კაპიტალური დაბანდებანი ობიექტების მშენებლობისათვის გამოეყოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს;

გ) საწარმოო დანიშნულების ობიექტებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 3 მილიონ მანეთამდე, საექსპლუატაციოდ მიიღებენ იმ წესით დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომელსაც განსაზღვრავენ:

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები — მათ სისტემაში შემავალი ობიექტებისათვის, თუ კაპიტალური დაბანდებანი ობიექტების მშენებლობისათვის გამოეყოთ სსრ კავშირის ამ სამინისტროებსა და უწყებებს;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები — მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ობიექტებისათვის, თუ კაპიტალური დაბანდებანი ობიექტების მშენებლობისათვის გამოეყოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს;

დ) წყალსამეურნეო ნაგებობებს, სარწყავ და დამშრობ სისტემებს, ამ სისტემების ნორმალური ექსპლუატაციისა და მიწების გამოყენებისათვის, აგრეთვე ამ მიწებზე ახალი საბჭოთა მეურნეობებისათვის საჭირო ობიექტებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 3 მილიონი მანეთი და მეტი (ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულის გარდა), საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომელთაც ნიშნავენ:

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, თუ კაპიტალური დაბანდებანი ობიექტების მშენებლობისათვის გამოეყოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, თუ კაპიტალური დაბანდებანი ობიექტების მშენებლობისათვის გამოეყო ამ სამინისტროს;

ე) სარწყავ და დამშრობ სისტემებს, წყალსამეურნეო ნაგებობებს, სისტემების ნორმალური ექსპლუატაციისა და მიწების გამოყენებისათვის საჭირო ობიექტებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 3 მილიონ მანეთამდე, საექსპლუატაციოდ მიიღებენ იმ წესით დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომელსაც განსაზღვრავენ:

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, თუ კაპიტალური დაბანდებანი ობიექტების მშენებლობისათვის გამოეყოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, თუ კაპიტალური დაბანდებანი ობიექტების მშენებლობისათვის გამოეყოთ ამ სამინისტროს;

ვ) სარწყავ და დამრობილ მიწებს ყოველწლიურად ამ პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული სარწყავი და დამრობი სისტემების მშენებლობის პროცესში, აგრეთვე აღნიშნული მიწების ნაწილს, როცა ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა 1 წლამდეა, საექსპლუატაციოდ მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები;

ზ) სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), აგრეთვე კოლმეურნეობების სახსრებით აშენებულ საწარმოო დანიშნულების ობიექტებს საექსპლუატაციოდ მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები, ხოლო სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებით აშენებულ საწარმოო დანიშნულების ობიექტებს — კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალური ორგანოების მიერ დადგენილი წესით დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები;

თ) საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტებს საექსპლუატაციოდ მიიღებენ სსრ კავშირის იმ სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომელთა გამგებლობაშიც შედიან მოცემული ობიექტების მთავარი მენაშენეები, ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული წესით.

ი) საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების უნიკალურ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებს საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომელთაც დანიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების და სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების წარდგენით.

ასეთი ობიექტების ნუსხა გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიურ გეგმებში;

კ) საცხოვრებელ სახლებს, საერთო საცხოვრებლებს, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობებს, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, აგრეთვე საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ყველა ობიექტს, რომლებიც აშენებულია სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), აგრეთვე კო-

ლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებით ან რომელთა შემკვეთები (მენაშენეები) არიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო ან ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომები, საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო ან ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები (ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში აღნიშნული ობიექტების გარდა);

ლ) საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტებს, ამ პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ობიექტების, აგრეთვე ქალაქების, დაბებისა და საკურორტო ზონების გარეთ რკინიგზების განთვისების ზოლში განლაგებული საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ყველა ობიექტის გარდა, საექსპლუატაციოდ მიიღებენ სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები.

ამ ქვეპუნქტში აღნიშნული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიების დანიშვნა შეუძლიათ აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომებს ამ ობიექტების შემკვეთ (მენაშენე) სამინისტროთა და უწყებათა თანხმობით.

ტექნიკური კვლავაღჭურვის შემდეგ საწარმოო დანიშნულების ობიექტები საექსპლუატაციოდ მიიღება ამ დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით სამინისტროებისა და უწყებების მიერ პროფკავშირის შესაბამის ცენტრალურ კომიტეტთან და სახელმწიფო ზედამხედველობის დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით დადგენილი წესით.

სახელმწიფო მიმღები კომისიები დაინიშნება დროულად, ობიექტის ხასიათისა და სირთულის შესაბამისად, მაგრამ ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების დაწესებულ ვადამდე არა უგვიანეს 3 თვისა საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებისას და 30 დღისა — საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებისას. ამასთან უნდა განისაზღვროს კომისიების მუშაობის დაწყებისა და დამთავრების თარიღები ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების დაწესებული ვადის გათვალისწინებით.

3. სახელმწიფო მიმღები კომისიების შემადგენლობაში შედიან:

ა) საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებისას შემკვეთის (მენაშენის), საექსპლუატაციო ორგანიზაციისა, გენერალური მოიჯარის, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის, გენერალური დამპროექტებლის, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოთა, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოთა, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოთა, პროფკავშირთა შესაბამისი ცენტრალური კომიტეტის ან საბჭოს შრომის ტექნიკური ინსპექციის, შემკვეთის (მენაშენის) ან საექსპლუატაციო ორგანიზაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირული ორგანიზაციის და დამფინანსებელი ბანკის წარმომადგენლები.

აღნიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიების შემადგენლობაში აგრეთვე შედიან:

მაგისტრალური ნავთობპროდუქტსადენებისა და გაზსადენების, აგრეთვე სსრ კავშირის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოთა საქვეკონტროლო ობიექტების მიღებისას — ამ ორგანოთა წარმომადგენლები;

გაზის მრეწველობის სამინისტროს სახელმწიფო გაზზედამხედველობის ორგანოთა საქვეკონტროლო ობიექტების მიღებისას — ამ ორგანოთა წარმომადგენლები;

რთული ან უნიკალური ტექნოლოგიური მოწყობილობით აღჭურვილი ობიექტების მიღებისას — ამ ტექნოლოგიური მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნებისა და სამონტაჟო ორგანიზაციათა წარმომადგენლები;

რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგების მქონე ობიექტების მიღებისას — გზათა სამინისტროს ორგანიზაციების წარმომადგენლები;

სარწყავი და დამშრობი სისტემების, რეკულტივირებული მიწების, დაცვითი ტყის ნარგავების, ეროზიასაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და მიწების ნაყოფიერების ამაღლებისა და დაცვის მიზნით აგებული სხვა ობიექტების მიღებისას — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწების გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის ორგანოთა და ამ სამინისტროს სხვა ორგანოთა წარმომადგენლები, აგრეთვე მიწათმოსარგებლე მეურნეობათა წარმომადგენლები;

იმ ობიექტების მიღებისას, რომელთა საქმიანობა გავლენას ახდენს ტყეების მდგომარეობასა და კვლავწარმოებაზე, — სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოთა წარმომადგენლები;

სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქვეკონტროლო ობიექტების მიღებისას — ამ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები;

საავტომობილო გზების მიღებისას — სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის წარმომადგენლები;

იმ საწარმოთა მიღებისას, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ამოფრქვევასთან, — სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოთა წარმომადგენლები;

გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების მიღებისას — ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების მუშაობისადმი კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოთა წარმომადგენლები;

ბ) საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებისას — შემკვეთის (მენაშენის), საექსპლუატაციო ორგანიზაციის, გენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური მოიჯარის, გენერალური დამპროექტებლის, სახელმწიფო საარქიტექტურო-სამშენებლო კონტროლის ორგანოების (რაიონებში, სადაც ასეთი ორგანოები არ არიან, — რაიონების არქიტექტორები), სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოთა, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოთა, შემკვეთის (მენაშენის) პროფკავშირული ორგანიზაციის ან პროფკავშირთა შესაბამისი საბჭოს წარმომადგენლები.

აღნიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიების შემადგენლობაში აგრეთვე შედიან:

წყლის აღებასთან და გადაგდებასთან დაკავშირებული ობიექტების მიღებისას — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოთა წარმომადგენლები;

სსრ კავშირის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის ორგანოთა საქვეკონტროლო ობიექტების მიღებისას — ამ ორგანოთა წარმომადგენლები;

ტექნოლოგიური მოწყობილობით აღჭურვილი ობიექტების მიღებისას — პროფკავშირთა შესაბამისი ცენტრალური კომიტეტის ან საბჭოს შრომის ტექნიკური ინსპექციის წარმომადგენლები;

კოოპერაციული საცხოვრებელი სახლებისა და სხვა კოოპერაციული ობიექტების მიღებისას — შესაბამისი სამშენებლო კოოპერატივის გამგეობის წარმომადგენლები;

ქუჩების, გზებისა და საგზაო ნაგებობების მიღებისას — სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის წარმომადგენლები;

საზოგადოებრივ ღონისძიებათა (კულტურულ-მასობრივი, სპორტული და სხვ.) განსახორციელებლად გათვალისწინებული ობიექტების მიღებისას — სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ან მისი ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები.

4. სახელმწიფო მიმღები კომისიების თავმჯდომარეებად დაინიშნებიან:

3 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საწარმოო დანიშნულების ობიექტების, აგრეთვე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, ექსპერიმენტული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებისას — შემკვეთ სამინისტროთა და უწყებათა, აგრეთვე მათდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები;

3 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებისას — ამ კომისიების დამნიშვნელ ორგანოთა პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე უშუალოდ ამ ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები;

საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებისას — ამ კომისიების დამნიშვნელ ორგანოთა ხელმძღვანელი მუშაკები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე უშუალოდ ამ ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ინ-წესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები;

5. სახელმწიფო მიმღები კომისიებისათვის ობიექტების წარდგენამდე შემკვეთის (მენაშენის) მიერ დანიშნულმა სამუშაო კომისიებმა უნდა შეამოწმონ ობიექტებისა და დამონტაჟებული მოწყობილობის შესაბამისობა პროექტებთან, მოწყობილობის გამოცდისა და კომპლექსური გასინჯვის შედეგები, ობიექტების მომზადება ნორმალური ექსპლუატაციისათვის და პროდუქციის გამოსაშვებად (მომსახურების გასაწევად), მათ შორის შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფის და გარემოს დაცვის ღონისძიებათა შესრულება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი, და მიიღონ ეს ობიექტები.

სამუშაო კომისიების შემადგენლობაში შედიან შემკვეთის (მენაშენის) წარმომადგენელი — კომისიის თავმჯდომარე, გენერალური მოიჯარის, სუბსაიჯარო ორგანიზაციების, საექსპლუატაციო ორგანიზაციის, გენერალური დამპროექტებლის, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოთა, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოთა, პროფკავშირთა შესაბამისი ცენტრალური კომიტეტის ან საბჭოს შრომის ტექნიკური ინსპექციის, შემკვეთის ან საექსპლუატაციო ორგანიზაციის პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მშენებლობადამთავრებულ ცალკეულ შენობა-ნაგებობებს, საწარმოო და დამხმარე დანიშნულების ჩაშენებულ ან მიშენებულ სადგომებს, რომლებიც ობიექტის შემადგენლობაში შედიან, ობიექტის მშენებლობის პროცესში მათი ამოქმედების აუცილებლობისას საექსპლუატაციოდ მიიღებენ სამუშაო კომისიები მათი მზადყოფნის კვალობაზე, ამასთან შემდგომ წარუდგენენ მათ სახელმწიფო მიმღებ კომისიას, რომელიც იღებს მთლიანად ობიექტს.

6. სახელმწიფო მიმღები კომისიები საექსპლუატაციოდ მიიღებენ მშენებლობადამთავრებულ ობიექტებს:

ა) საწარმოო დანიშნულებისა — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მომზადებულია საექსპლუატაციოდ (დაკომპლექტებულია საექსპლუატაციო კადრებით, უზრუნველყოფილია ენერგორესურსებით, ნედლეულით და სხვ.), აღმოფხვრილია ხარვეზები და დადგმულ მოწყობილობაზე დაწყებულია პროექტით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვება (მომსახურების გაწევა) საწყის პერიოდში საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ნორმების შესაბამისი მოცულობით.

საცდელი (ექსპერიმენტული), საცდელ-სამრეწველო ქარხნები, საამქროები და დანადგარები უნდა იქნეს მიღებული საექსპლუატაციოდ, თუ ისინი მომზადებულია ცდების განსახორციელებლად ან პროექტით გათვალისწინებული პროდუქციის გამოსაშვებად.

არ დაიშვება საწარმოო დანიშნულების იმ ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღება, რომლებზეც დადგენილი წესის დარღვევით შეტანილია ცვლი-

ლებანი პროექტით გათვალისწინებული ასამუშავებელი კომპლექსების შემადგენლობაში.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ცვლილებათა შეტანა ასამუშავებელი კომპლექსების შემადგენლობაში შეუძლია ორგანოს, რომელმაც დაამტკიცა პროექტი (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტებისათვის — მას შემდეგ, რაც ცვლილებებს წინასწარ განიხილავენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმშენი), სახელმწიფო მიმღები კომისიის დანიშვნამდე. ამასთან ასამუშავებელი კომპლექსების შემადგენლობიდან ამოღებული არ უნდა იქნეს მუშაკთა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების, ატმოსფეროში, წყალში და ნიადაგში მავნე ამონაფრქვევების ეფექტიანი გაწმენდის, გაუვნებლებისა და დაჭერის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული შენობა-ნაგებობები, აგრეთვე მისასვლელი ლიანდაგები დატვირთვა-გადმოტვირთვის ფრონტებითურთ, კავშირგაბმულობის ხაზები და სამელიორაციო ღონისძიებანი.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით გათვალისწინებულ ასამოქმედებელ საწარმოო სიმძლავრეთა დაზუსტებასთან დაკავშირებული ასამუშავებელი კომპლექსების შემადგენლობა უნდა შეიცვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

დასაშვებია სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობის პროცესში სარწყავი და დაშრობილი მიწების ყოველწლიური საექსპლუატაციოდ მიღება სარწყავი და დამშრობი ქსელის, წყალსამეურნეო ნაგებობების, სისტემათა ნორმალური ექსპლუატაციის, მიწების გამოყენებისა და ასამუშავებელი კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი სხვა სამუშაოებისათვის საჭირო ობიექტების მშენებლობის განხორციელების შემდეგ. სარწყავი და დამშრობი სისტემებისათვის, რომელთა მშენებლობის ხანგრძლივობა ერთ წელიწადს არ აღემატება, და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიწების ექსპლუატაციის აუცილებლობისას ნებადართულია მიწების ნაწილის ერთი მიღება პროექტის შესაბამისად მშენებლობის მთლიანად დამთავრებამდე.

სასაქონლო მეთევზეობის ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღება უნდა დამთავრდეს შესაბამისი წლის 1 ნოემბრამდე.

უკანასკნელი ასამუშავებელი კომპლექსის საექსპლუატაციოდ მიღება ხდება მთლიანად ობიექტის ან მისი უკანასკნელი რიგის მიღებასთან ერთად;

ბ) საბინაო-სამოქალაქო დანიშნულებისა — მხოლოდ მთელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის შემდეგ, იმ პირობით, რომ ობიექტები უზრუნველყოფილია მოწყობილობითა და ინვენტარით დამტკიცებული პროექტების სრული შესაბამისობით, აგრეთვე ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ.

საცხოვრებელი სახლები, რომელთაც აქვთ ჩაშენებული და მიშენებული სადგომები ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის და არასამრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წველო ხასიათის საჭიროებისათვის, საექსპლუატაციოდ გადასაცემად წარდგენილ იქნება მას შემდეგ, რაც შესრულდება მთელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, აღნიშნულ სადგომებში სამუშაოთა ჩათვლით.

7. დაწესდეს, რომ:

ა) შემკვეთებს (მენაშენეებს) პასუხისმგებლობა ეკისრებათ ასამოქმედებელი ობიექტების საექსპლუატაციოდ და პროდუქციის გამოსაშვებად (მომსახურების გასაწევად) დროულად მომზადებისათვის (მათი კადრებით დაკომპლექტება, ნედლეულით, ენერგორესურსებით უზრუნველყოფა და სხვ.), მოწყობილობის კომპლექსური გასინჯვისათვის (უქმად და სამუშაო რეჟიმებით) საპროექტო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების, ხოლო საჭიროების კვალობაზე აგრეთვე მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნების მონაწილეობით, ტექნოლოგიურ პროცესთა გამართვისათვის, დაწესებულ ვადებში საწარმოო სიმძლავრეთა და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის, მოქმედი ნორმებით გათვალისწინებულ ვადებში პროდუქციის გამოშვებისათვის (მომსახურების გაწევისათვის) და საპროექტო სიმძლავრეთა ათვისებისათვის;

ბ) საპროექტო ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ საექსპლუატაციოდ გადაცემული ობიექტების სიმძლავრეები და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამებოდნენ პროექტით გათვალისწინებულ სიმძლავრეებსა და მაჩვენებლებს, და ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებისა და მათი საპროექტო სიმძლავრეების ათვისების პროცესში წამოჭრილი დაპროექტებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტისათვის;

გ) სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ მათ მიერ გაცემული დაპროექტების საწყისი მონაცემები შეესაბამებოდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს ახალი ტექნოლოგიური პროცესების, მოწყობილობისა და მასალების დარგში;

დ) სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ შეასრულონ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები პროექტის შესაბამისად და დაწესებულ ვადებში, უზრუნველყონ ამ სამუშაოთა ჯეროვანი ხარისხი, განახორციელონ მათ მიერ დამონტაჟებული მოწყობილობის ინდივიდუალური გამოცდა, დროულად აღმოფხვრან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიღებისა და მოწყობილობის კომპლექსური გასინჯვის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, დროულად აამოქმედონ საწარმოო სიმძლავრეები და ობიექტები.

8. მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღება სახელმწიფო მიმღები კომისიების მიერ ფორმდება აქტებით. აქტებში მოცემულია პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხისა და ტექნოლოგიურ და არქიტექტურულ-სამშენებლო გადაწყვეტილებათა პროგრესულობის შეფასება.

საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღება სახელმწიფო მიმღები კომისიების მიერ არ დაიშვება, თუ მიღების აქტში არ

იქნება კომისიის იმ წევრთა ხელმოწერები, რომლებიც არიან სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოთა, პროფკავშირთა შესაბამისი ცენტრალური კომიტეტის ან საბჭოს შრომის ტექნიკური ინსპექციის, აგრეთვე შემკვეთის (მენაშენის) ან საექსპლუატაციო ორგანიზაციის პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების აქტებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი. თუ კომისიის ცალკეულ წევრებს ექნებათ საწინააღმდეგო მოსაზრებანი, ისინი განხილულ უნდა იქნეს იმ ორგანოების მონაწილეობით, რომელთა წარმომადგენლებიც არიან კომისიის ეს წევრები, მიღების აქტის დამტკიცებამდე.

ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების აქტების განხილვა, კომისიის ცალკეული წევრების საწინააღმდეგო მოსაზრებათა განხილვის შედეგების მიხედვით გადაწყვეტილებათა მიღება და ამ კომისიების დამნიშვნელი ორგანოების მიერ აქტების დამტკიცება ხდება საწარმოო დანიშნულების ობიექტებისათვის აქტების ხელმოწერიდან არა უმეტეს ერთი თვის ვადაში, ხოლო საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტებისათვის არა უმეტეს 7 დღის ვადაში.

ობიექტის საექსპლუატაციოდ გადაცემის თარიღად ითვლება სახელმწიფო მიმღები კომისიის მიერ აქტის ხელმოწერის თარიღი.

ამ დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად სამუშაო კომისიის მიერ საექსპლუატაციოდ მისაღები ობიექტის საექსპლუატაციოდ მიღების თარიღად ითვლება სამუშაო კომისიის მიერ აქტის ხელმოწერის თარიღი.

სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შესრულების ანგარიშგებაში შეიტანება მხოლოდ ის ობიექტები, რომელთა საექსპლუატაციოდ მიღების აქტებს დაამტკიცებს ორგანო, რომელმაც დანიშნა კომისია.

9. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ ამ დადგენილების გათვალისწინებით და დაამტკიცონ სსრ კავშირის სახმშენთან, პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან და სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგებისა და მრეწველობის დარგების მიხედვით სახელმწიფო ზედამხედველობის დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით პროდუქციის წარმოების სპეციკური პირობების მქონე მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესები.

10. სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრომ შეიმუშაოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით და დაამტკიცოს 1981 წელს სსრ კავშირის სახმშენთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით მშენებლობადამთავრებული საავტომობილო გზების საექსპლუატაციოდ მიღების წესები.

11. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს ამ დადგენილების გათვალისწინებით მისცეს სამინისტროებსა და უწყებებს საჭირო განმარტებანი ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების საკითხებზე.

12. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმასკომებმა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესების დარღვევის შემთხვევაში დააკისრონ კომისიათა თავმჯდომარეებსა და წევრებს, აგრეთვე პირებს, რომლებიც აიძულებენ ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებას ამ დადგენილებით განსაზღვული წესების დარღვევით, ადმინისტრაციული, დისციპლინური და სხვა პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მშენბანკის, სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენების მონაწილეობით განახორციელოს შერჩევითი კონტროლი იმისადმი, თუ როგორ იცავენ სახელმწიფო მიმღები კომისიები ამ დადგენილებით გათვალისწინებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესებს, და ამ წესების დარღვევის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება შემოწმებულ ობიექტებზე საანგარიშგებო მონაცემების შეცვლის შესახებ და წარმოადგინოს წინადადებანი დამნაშავე პირთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ტიხონოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981
წლის 23 იანვრის № 105 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 1 ოქტომბრის № 2221 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ მოსკოვის განაშენიანების წესების 26-ე პუნქტი (სსრკ კან. კრებ., 1935 წ., № 55, მუხ. 449ბ).

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 11 აგვისტოს № 1743 დადგენილების მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ახალაშენებული სარწყავი სისტემებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების საექსპლუატაციოდ გადაცემის ნაწილში.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 28 აგვისტოს № 1934 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 9 სექტემბრის № 3155 დადგენილების მე-18 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 აპრილის № 1664 დადგენილების მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის უკანასკნელი აბზაცი.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 21 აპრილის № 645 დადგენილების მე-2 პუნქტი.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 15 ნოემბრის № 4625 დადგენილების მე-8 პუნქტი.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 აგვისტოს № 3912 დადგენილების მე-11 პუნქტის ის ნაწილი, რომლითაც აკრძალულია კოქსვადი ქვანახშირის გამამდიდრებელი ახალი ფაბრიკების საექსპლუატაციოდ გადაცემა შლამის გამამდიდრებელი დანადგარების გარეშე, აგრეთვე ამ დადგენილების მე-12 პუნქტის პირველი აბზაცი.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 აგვისტოს № 3913 დადგენილების მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ის ნაწილი, რომლითაც აკრძალულია კოქსვადი ქვანახშირის ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკების საექსპლუატაციოდ გადაცემა შლამის გამამდიდრებელი დანადგარების გარეშე.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 თებერვლის № 214 დადგენილების მე-6 პუნქტი.

11. მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1962 წლის 23 იანვრის № 73 დადგენილებისა „საწარმოებში და მშენებლობებზე შრომის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1962 წ., № 2. მუხ. 15).

12. მე-6 პუნქტის უკანასკნელისწინა აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 აგვისტოს № 846 დადგენილებისა „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესების და სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობებისა და მათი პრემირების სისტემის შეცვლის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1962 წ., № 16, მუხ. 127).

13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 ოქტომბრის № 1078 დადგენილების მე-3 პუნქტი.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 4 აგვისტოს № 77 დადგენილების მე-11 პუნქტის მეორე აბზაცი.

15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 23 ოქტომბრის № 100 დადგენილების მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

16. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 28 ნოემბრის № 961 დადგენილების მე-11 პუნქტის მეხუთე აბზაცი.

17. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 57 დადგენილება „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1966 წ., № 3, მუხ. 29).

18. 1-ლი პუნქტის მეექვსე აბზაცი და მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 აგვისტოს № 671 დადგენილებისა „ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები“ (სსრკ დადგ. კრებ., 1966 წ., № 18, მუხ. 160).

19. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 6 სექტემბრის № 724 დადგენილება „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 57 დადგენილების დამატების თაობაზე“ (სსრკ დადგ. კრებ., 1966 წ., № 20, მუხ. 178).

20. 1-ლი პუნქტის უკანასკნელი აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1967 წლის 15 ივლისის № 665 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობაში შრომის ანაზღაურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1967 წ., № 18, მუხ. 121).

21. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 აგვისტოს № 750 დადგენილების მე-3 პუნქტის მეორე აბზაცის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს 300 ათასი კილოვატი და მეტი სიმძლავრის ენერგობლოკების საექსპლუატაციოდ მიღების უზრუნველყოფას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 57 დადგენილების ზუსტი შესაბამისობით.

22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 1 თებერვლის № 69 დადგენილების მე-6 პუნქტი.

23. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 მაისის № 382 დადგენილების მე-9 პუნქტის მეორე აბზაცი.

24. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 29 ნოემბრის № 939 დადგენილება „სარწყავი და დაშრობილი მიწების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1968 წ., № 22, მუხ. 164).

25. 30-ე პუნქტის მეორე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილებისა „საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1969 წ., № 15, მუხ. 84).

26. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 ივლისის № 538 დადგენილება „საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ, 1970 წ., № 11, მუხ. 90).

27. მე-2 პუნქტი ცვლილებებისა, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 აპრილის № 317 დადგენილებაში „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“ და 1966 წლის 22 იანვრის № 57 დადგენილებაში „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ“, და რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 დეკემბრის № 983 დადგენილებით „სამშენებლო-სამონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 აპრილის № 317 დადგენილებაში და „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ“ 1966 წლის 22 იანვრის № 57 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ (სსრკ დადგ. კრებ., 1971 წ., № 1, მუხ. 3).

28. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 ნოემბრის № 850 დადგენილების 25-ე პუნქტი.

29. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 4 აპრილის № 682 განკარგულება.

30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 23 ივნისის № 503 დადგენილების მე-10 პუნქტი.

31. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 ივნისის № 504 დადგენილების 27-ე პუნქტის მესამე აბზაცი.

32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 თებერვლის № 132 დადგენილება „მშენებლობადამთავრებული სარწყავი და დამშრობი სისტემებისა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების დანიშვნის წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1975 წ. № 7, მუხ. 34).

33. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 15 ივნისის № 570 დადგენილების მე-5 პუნქტი.

34. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 20 აპრილის № 312 დადგენილების მე-8 პუნქტი.

35. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 მაისის № 353 დადგენილების მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცი.

36. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 1 ივნისის № 498 დადგენილების მე-2 პუნქტის უკანასკნელისწინა აბზაცი.

37. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 17 აგვისტოს № 719 დადგენილების მე-8 პუნქტი.

38. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 7 ივნისის № 528 დადგენილების მე-3 პუნქტის მეხუთე აბზაცი.

39. მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 11 აპრილის № 297 დადგენილებისა „სსრ კავშირში სახელმწიფო გაზზედამხედველობის განხორციელებაში გაზის მრეწველობის სამინისტროს როლის ამაღლების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1980 წ., № 14, მუხ. 95).

ეროვნული ბიბლიოთეკა

53 საქართველოს სსრ სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების სატყეო-სანიხრე თანრიგებისათვის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ, მოყოლებული 1982 წლის 1 იანვრიდან, სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები მიეკუთვნოს სატყეო-სანიხრე თანრიგებს, დანართის თანახმად*).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 2 ივნისის № 348 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 12 ივნისი, № 415

54 საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1981 წლის 1 ივლისიდან ინსტრუქცია საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდვის წესის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 ივნისის № 391 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 12 ივნისი, № 421

---

*) დანართი არ იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 12 ივნისის № 421
დადგენილებით

ინსტრუქცია

საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდვის წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ინსტრუქცია სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდვის შესახებ შემუშავებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 აგვისტოს № 851 დადგენილების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 929, 1962 წლის 17 აგვისტოს № 865 და 1964 წლის 18 ნოემბრის № 941 დადგენილებების, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1978 წლის 3 მარტის № 8-8/14ვ ცირკულარული წერილის და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1980 წლის 30 ივლისის № 200 ბრძანებით დამტკიცებული ძირითადი დებულებების შესაბამისად.

2. ჩამოფასებას ექვემდებარება მოძველებული ფასონების, მოდელების, კონსტრუქციების, სტრუქტურების, ნახატების საქონელი, რომელიც მოთხოვნილებით არ სარგებლობს მოსახლეობაში. აღნიშნული საქონლის ჩამოფასების აუცილებელი პირობაა მისი მოხსნა წარმოებიდან (იმპორტული საქონლისა — მიწოდებიდან).

ჩამოფასებას ექვემდებარება აგრეთვე საქონელი, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი.

3. ამ განაყოფის მე-2 პუნქტში აღნიშნული საქონელი ჩამოფასდება სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის და ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ასანაზღაურებლად შექმნილი ფონდის და სხვა წყაროების ხარჯზე.

4. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასება ხდება. როგორც წესი, წელიწადში ორჯერ: 1 მარტისა და 1 სექტემბრის მდგომარეობით.

ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასება ხდება ასეთი საქონლის გამოვლენის კვალობაზე ან ზემოაღნიშნულ ვადებში.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ცეკავშირის გამგეობასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მოძველებული ფასონებისა და მოდელების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონლის ჩამოფასების ერთდროულად ჩატარებას რესპუბლიკის, ავტონომიური
რესპუბლიკის (ავტონომიური ოლქის), ქალაქის, რაიონის ფარგლებში.

ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ერთი და იგივე საქონლის ერთიანი ფასები.

თუ შეუძლებელია საქონლის ჩამოფასების ერთდროულად ჩატარება, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა ურთიერთშეთანხმებით უზრუნველყოფენ ჯეროვან კონტროლს, რაც გამორიცხავს ჩამოფასებული საქონლის ფასთა სხვაობისაგან რაიმე ბოროტმოქმედების შესაძლებლობას.

II. მოსამზადებელი მუშაობა და ჩამოსაფასებელი საქონლის მოცულობის განსაზღვრა

1. ყოველწლიურად 1 ოქტომბრის მდგომარეობით ტარდება სახელმწიფო (საცალო და საბითუმო) და კოოპერაციულ ვაჭრობაში გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის ნაშთებისა და არსებობის აღრიცხვა.

გაუსავლიან და ჩაწოლილ არასასურსათო საქონელს მიეკუთვნება საქონელი, რომელიც მოთხოვნილებით არ სარგებლობს მოსახლეობაში, მრეწველობის მიერ გამოშვებულია აღრიცხვის ჩატარების წლის წინა წლის განმავლობაში (იანვრიდან დეკემბრამდე — ჩათვლით), აგრეთვე წინა წლებში, მოხსნილია წარმოებიდან.

გარდა ამისა, გაუსავლიან და ჩაწოლილ საქონელს მიეკუთვნება არასასურსათო საქონელი, რომელიც მრეწველობის მიერ გამოშვებულია აღრიცხვის ჩატარების წელს (იანვრიდან სექტემბრამდე — ჩათვლით), თუ იგი იმ საქონლის ანალოგიურია, რომელიც დაგროვდა ვაჭრობაში როგორც გაუსავლიანი და ჩაწოლილი მასზე მოთხოვნილების არარსებობის გამო, და ისეთივე სამომხმარებლო თვისებები აქვს.

გაუსავლიანი და ჩაწოლილი საქონლის შემადგენლობაში შედის მოძველებული კონსტრუქციების (სქემების), მოდელების, სტრუქტურების, ნახატების, გაფორმების, საექსპლუატაციო-ტექნიკური და სხვა მახასიათებლების არასასურსათო საქონელი, რომლის სამომხმარებლო თვისებები არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ასეთ საქონელს, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნება მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი, რომლის ესთეტიკური თვისებები არ შეესაბამება მოდის მოქმედ მიმართულებას.

ამ ჯგუფის საქონლის შემადგენლობაში შედის მოძველებული და გაცვეთილი სტრუქტურების, არათანამედროვე კოლორისტული გამის მოძველებული ნახატების ქსოვილები, რომლებიც მოთხოვნილებით არ სარგებლობს მოსახლეობაში; ამ ქსოვილებისაგან დამზადებული ტანსაცმელი, რომლის ფასონები, მოდელები, სილუეტები არ შეესაბამება მოდის მიმართულებას, ქსოვილისა და ტყავის გალანტერეა, ქუდები, ტრიკოტაჟის წინდები, რომლებიც მოთხოვნილებით არ სარგებლობს მოსახლეობაში ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მოძვე-

ლებული კონსტრუქციების, მოუხერხებელი უხეში კალაპოტების ქსოვილებიდან ბინირებული და რეზინის ფეხსაცმელი, რომელიც დამზადებულია ისეთი მასალებისაგან, რომლებიც არ შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნებს საერთო იერსახის, სტრუქტურის, დამუშავების, შეფერილობის მიხედვით და ა. შ.

,გაუსავლიან და ჩაწოლილ საქონელს მიეკუთვნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი, რომელიც მოიხსნა წარმოებიდან იმის გამო, რომ მისი საექსპლუატაციო-ტექნიკური მახასიათებლები და გარეგნული გაფორმება არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ამ ჯგუფში შედის ტექნიკურად რთული საქონელი — ხმაურისა და ენერგიის ხარჯვის მაღალი დონის მქონე, ექსპლუატაციისათვის მოუხერხებელი მაცივრები, მტვერსასრუტები, სარეცხი და სამზარეულო მანქანები, მცირე მწარმოებლობის საყოფაცხოვრებო კონდიციონერები, ტელევიზორები, მოძველებული ტექნოლოგიის მიხედვით დამზადებული რადიომიმღებები, ელექტროფონები, მაგნიტოფონები, ფოტოაპარატები, ფოტოგამადიდებლები, საანგარიშო მანქანები, ნავის მოტორები და სხვა საქონელი, რომელთა ხარისხის პარამეტრები არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, აგრეთვე ვაჭრობაში ჩაწოლილი სხვა ისეთი საქონელი, რომლის სამომხმარებლო თვისებები არ შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნილებას.

გაუსავლიანი და ჩაწოლილი საქონლის ჯგუფს მიეკუთვნება ის საქონელი, რომელიც მოთხოვნილებით არ სარგებლობს ახალი ნაწარმის გამოშვებასთან, ასორტიმენტის გაფართოებასთან და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედებით საქონლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

გაუსავლიან და ჩაწოლილ საქონელს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ჩამოფასებული საქონელი, რომელიც ვერ გასაღდა მისი უკანასკნელი ჩამოფასების დღიდან ერთი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში, აგრეთვე საქონელი, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი.

2. 1 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის აღრიცხვის მასალების ანალიზის საფუძველზე სავაჭრო ორგანიზაციებს შეაქვთ კორექტივები მიწოდების გეგმებში და დადებულ ხელშეკრულებებში იმ საქონლის წარმოებიდან მოხსნის მიზნით, რომელიც მოთხოვნილებით არ სარგებლობს მოსახლეობაში, სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების თაობაზე მოქმედი დებულების შესაბამისად.

აღრიცხვაში ასახული გაუსავლიანი და ჩაწოლილი საქონელი შეტანილი არ უნდა იქნეს მრეწველობის შეკვეთებში და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებებში.

არსებული გაუსავლიანი და ჩაწოლილი იმპორტული საქონლის შესახებ ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების, აგრეთვე საქვეუწყებო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ინფორმაციათა საფუძველზე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო შეადგენს ისეთი საქონლის სიებს, რომელიც უნდა მოიხსნას მიწოდებიდან და შეწყდეს მისი შემდგომი შესყიდვა.

3. არსებული გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის აღრიცხვის ჩატარების შემდეგ ქალაქების, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატთა საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოები, ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები, სავაჭრო ორგანიზაციები გადაანწილებენ ამ საქონელს ქალაქის, ავტონომიური რესპუბლიკის (ავტონომიური ოლქის), რესპუბლიკის ფარგლებში ჩამოფასების ჩატარებამდე მისი რეალიზაციის მიზნით.

აღნიშნული საქონლის რეალიზაცია ხდება საბითუმო ბაზების მიერ ან სავაჭრო საშუამავლო კანტორების მეშვეობით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში, სადაც იგი შეიძლება გაიყიდოს მოქმედ საცალო ფასებში ან სადაც ტარდება ბაზრობები ზედმეტი საქონლის გასაყიდად.

4. მოსახლეობაში შეზღუდული მოთხოვნილების მქონე საქონლის გამოშვების თავიდან აცილების მიზნით სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები გამოავლენენ ასეთ საქონელს იმისათვის, რათა მას დაუწესდეს შემცირებული საბითუმო ფასები ან საბითუმო ფასების დაკლება დადგენილი წესით.

5. ჩამოსაფასებელი გაუსავლიანი და ჩაწოლილი საქონლის მოცულობა განისაზღვრება სახელმწიფო (საცალო და საბითუმო) ვაჭრობაში გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის ნაშთებისა და არსებობის შესახებ ანგარიშის იმ მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც კორექტირებულია აღრიცხვის ჩატარების შემდეგ ამ საქონლის რეალიზაციის თანხით.

6. გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის მოცულობის დაზუსტების შემდეგ საცალო და საბითუმო ვაჭრობის საწარმოები შეადგენენ ჩამოსაფასებელი საქონლის სიებს. ამ სიებში აღინიშნება საქონლის სრული დასახელება, პრეისკურანტის ნომერი, არტიკული ან ნომერი პრეისკურანტის მიხედვით, ფასი და რაოდენობა (საორიენტაციო), დამამზადებელი საწარმოს დასახელება და წინადადებანი ჩამოფასების ოდენობის შესახებ.

იმ ქსოვილების საარტიკულო ასორტიმენტით შედგენილ სიებს, რომლებიც მოთხოვნილებით არ სარგებლობს მოსახლეობაში მოძველებული ნახატების, სტრუქტურების, უხეირო ფერების გამო, თან დაერთვის ამ ქსოვილების დაწესებული ფორმისა და ზომის ნიმუშები.

7. ჩამოსაფასებელი საქონლის ნომენკლატურა შეიტანება სიებში ჩამოფასების ჩატარების პერიოდის მიხედვით.

სიებში შეიტანება:

მოხმარების გამოხატული სეზონურობის მქონე საქონელი; ამ ჯგუფში შედის მსუბუქი მრეწველობის საქონელი — ქსოვილები, ტანსაცმელი, ტრიკოტაჟი, წინდები, ტყავის, ქსოვილ-კომბინირებული, რეზინის ფეხსაცმელი, ქსოვილისა და ტყავის გალანტერეა, ზოგიერთი სპორტული საქონელი — სპორტული ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და სხვა საქონელი, რომლის განახლება ხდება მოდის ზემოქმედებით;

საქონელი, რომელსაც არა აქვს მოხმარების გამოხატული სეზონურობა; მას მიეკუთვნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი, საგალანტერეო საქონელი (წინა ქვეპუნქტში აღნიშნულის გარდა), ტექნიკურად რთული საქონელი, რომლის განახლება ხდება მეცნიერულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური პროგრესის გავლენით. ტექნიკურად რთული საქონლის სანიმუშო ხუსხა მოყვანილია № 1 დანართში.

8. რეალიზაციის სეზონების მიხედვით საქონელი იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ზაფხულის ასორტიმენტის საქონელი (რეალიზაციის პერიოდი: აპრილ-აგვისტო);

ზამთრის ასორტიმენტის საქონელი (რეალიზაციის პერიოდი: ოქტომბერ-თებერვალი);

შემოდგომა-გაზაფხულის ასორტიმენტის საქონელი (რეალიზაციის პერიოდი მარტ-აპრილი, სექტემბერ-ნოემბერი).

9. 1 მარტიდან ჩამოფასებას ექვემდებარება ზამთრის ასორტიმენტის გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონელი.

1 სექტემბრიდან ჩამოფასებას ექვემდებარება ზაფხულის ასორტიმენტის გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონელი.

შემოდგომა-გაზაფხულის ასორტიმენტის საქონელი ჩამოფასდება როგორც მარტში, ისევე სექტემბერში სავაჭრო ორგანიზაციების შეხედულებისამებრ საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდის სახსრების არსებობის კვალობაზე.

საქონელი, რომელსაც არა აქვს მოხმარების გამოხატული სეზონურობა. ჩამოფასდება ასეთივე წესით.

10. პირვანდელი ხარისხის ნაწილობრივ დაკარგვის შედეგად ჩამოსაფასებელ საქონელს გამოავლენენ სავაჭრო საწარმოები სასაქონლო ექსპერტიზების ბიუროს სპეციალისტთა დასკვნის საფუძველზე.

11. ჩამოსაფასებელი საქონლის სიები წარედგინებათ სავაჭრო ორგანიზაციებში, საბითუმო ვაჭრობის კანტორებსა და ქალაქის ვაჭრობის სხვა ორგანიზაციებში შექმნილ მუდმივმოქმედ კომისიებს.

12. მე-11 პუნქტში აღნიშნული მუდმივმოქმედი საქალაქო კომისიების შემადგენლობაში შედიან სავაჭრო ორგანიზაციების (საბითუმო ვაჭრობის კანტორების) და ვაჭრობის სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სავაჭრო განყოფილებათა, კონიუნქტურის განყოფილებათა უფროსები, საქონელმცოდნეები და სხვა სპეციალისტები; კომისიების შემადგენლობა მტკიცდება სავაჭრო ორგანიზაციის (კანტორის) და ვაჭრობის სხვა ორგანიზაციების ბრძანებებით; საქალაქო კომისიები განიხილავენ საქვეუწყებო საწარმოთა წინადადებებს და წარუდგენენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მასალებს მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასების შესახებ გადაწყვეტილებათა მისაღებად.

შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ორგანიზაცია მასალებს სახელმწიფო ვაჭრობის მიხედვით წარუდგენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდის სახსრების შექმნა და ხარჯვა

1. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 აგვისტოს № 865 დადგენილების შესაბამისად შეიქმნება მოგების ხარჯზე წელიწადში საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის 0,5 პროცენტის ოდენობით (საზოგადოებრივი კვების, საკომისიო ვაჭრობის საწარმოებისა და შემსყიდველი პუნქტების ბრუნვის გარდა).

ჩამოფასების ფონდის თანხები გათვალისწინებულ იქნება სავაჭრო ორგანიზაციათა და საწარმოთა საფინანსო გეგმებში.

სავაჭრო ორგანიზაციებში საქონლის ჩამოფასებას შეიძლება მოხმარდეს აგრეთვე:

იმ საქონლის საბითუმო ფასების დაკლების თანხები, რომელიც შეზღუდული მოთხოვნილებით სარგებლობს მოსახლეობაში, დამამზადებელი გაერთიანებების (საწარმოების) მიერ რეალიზებულია მოსახლეობაში შეზღუდული მოთხოვნილების საქონლის საბითუმო ფასების დაკლების ან შემცირებული საბითუმო ფასების დაწესების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის 1976 წლის 14 დეკემბრის № 630 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-10 პუნქტის თანახმად;

სავაჭრო ფასდაკლების სხვაობის თანხები, რომლებიც შეიქმნება იმ შემთხვევებში, როცა ჩამოსაფასებლად ჩამოიწერება ჩამოფასების არა მთლიანი ღირებულება, არამედ სავაჭრო ფასდაკლების გამოქვითვით;

ზეგეგმითი მოგების სახსრები;

საკავშირო და რესპუბლიკური ბიუჯეტების სახსრები.

2. საქონლის ჩამოფასების სახსრებს გაანაწილებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოები და განყოფილებები, მუშათა მომარაგების სამმართველოები და სხვა ორგანიზაციები საქვეუწყებო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიხედვით. საქონელბრუნვაში მათი ხვედრითი წონის, ჩამოსაფასებელი საქონლის ფაქტიური მარაგის, აგრეთვე ამ მიზნით წინათ გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მონაცემების გათვალისწინებით.

საქონლის ჩამოფასების სახსრები განაწილდება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საფინანსო გეგმით გათვალისწინებული საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდში ანარიცხების საერთო თანხის ფარგლებში.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ვაჭრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სამმართველოებსა და განყოფილებებს, სავაჭრო ორგანიზაციებს, მუშათა მომარაგების სამმართველოებს (განყოფილებებს) უფლება აქვთ გადაანაწილონ საქონლის ჩამოფასების ფონდის სახსრები უშუალოდ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის.

4. სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები (სავაჭრო ორგანიზაციები, მუშათა მომარაგების სამმართველოები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სხვ.), რომელთა საფინანსო გეგმებით გათვალისწინებულია მოძველებული ფასოსებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდის შექმნა, წლის ყოველ კვარტალში აწარმოებენ ანარიცხებს აღნიშნულ ფონდში კვარტალური საფინანსო გეგმებით ამ მიზნისათვის გათვალისწინებული თანხის ერთი მესამედის ოდენობით.

5. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდში დადგენილი წესით წარმოებული ანარიცხები მიეკუთვნება დებეტს ანგარიშისა „განყენებული სახსრები“ (სუბანგარიში „სხვადასხვა განყენებული სახსრები“) ანგარიშის „სპეციალური ფონდები“ (სუბანგარიში „სხვადასხვა სპეციალური ფონდები“) კრედიტის მიხედვით.

6. საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდში ზემოაღნიშნული ანარიცხების თანხა ჩამოიწერება განყენებული სახსრებიდან საერთო წესით წლიური ანგარიშით დამტკიცების შემდეგ მოგების განაწილებისას.

7. საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდის სახსრები ინახება ფონდის მფლობელი ორგანიზაციებისა და საწარმოების (სავაჭრო ორგანიზაციის, მუშათა მომარაგების სამმართველოს, მუშათა მომარაგების განყოფილებისა და სხვების) საანგარიშსწორებო ანგარიშებზე და იხარჯება მხოლოდ მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ასანაზღაურებლად.

ფონდის სახსრები იხარჯება მხოლოდ მიმდინარე წლის დაგეგმილი დარიცხვების ფარგლებში. აკრძალულია საქონლის ჩამოფასება საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების ფონდში მომავალი წლების დარიცხვების ხარჯზე.

მიმდინარე წელს გამოუყენებელი ფონდის სახსრები გადადის მომავალ წელს და გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებით.

8. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩატარებული ჩამოფასების თანხები აისახება ანგარიშის კრედიტში „სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება“ და ამავე დროს აღნიშნული ჩამოფასების თანხები ჩამოიწერება შესაბამისი წყაროს ხარჯზე არსებული სახსრების ფარგლებში:

მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდის ხარჯზე ჩამოწერისას — ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშის დებეტით „წასახალისებელი და სპეციალური ფონდები“ სუბანგარიში „საქონლის ჩამოფასების ფონდი“;

ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე ჩამოწერისას — ანგარიშის დებეტით „ანგარიშსწორება ბიუჯეტთან“;

სავაჭრო ფასდაკლების ხარჯზე ჩამოწერისას — ანგარიშის დებეტით „სავაჭრო დანარიცხი და ბრუნვის გადასახადი“, სუბანგარიში „სავაჭრო დანარიცხი“ (ფასდაკლება, ფასდანამატი);

ზეგეგმითი მოგების ხარჯზე ჩამოწერისას — ანგარიშის დებეტით „მოგება და ზარალი“.

9. ჩამოფასების თანხა, რომელიც საქონლის სეზონური ჩამოფასების ჩატარების შემდეგ არ დაიფარება დარიცხული ფონდით ან სხვა დაწესებული წყაროებით, დარჩება ანგარიშზე „სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება“ და აისახება საბუღალტრო ანგარიშგებაში ბალანსების აქტივის „ვ“ განაყოფში ცალკე სტრიქონით „მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასება“.

10. სავაჭრო ფასდაკლების სხვაობა ტარდება ანგარიშის დებეტით „სავაჭრო ფასდაკლება“. ანგარიშის კრედიტით „საქონელი საცალო ვაჭრობის საწარმოებში“ ან „საქონელი საწყობებსა და ბაზებში“.

11. საცალო სავაჭრო ქსელში საქონლის ჩამოფასების თანხა, რომელიც უნდა ანაზღაურდეს ამ ფონდის სახსრების ხარჯზე, განისაზღვრება აღწერილობა-აქტის მიხედვით როგორც წინანდელი საცალო ფასების (ჩამოფასებამდე) და ახალი საცალო ფასების (ჩამოფასების შემდეგ) საქონლის ღირებულების სხვაობა, ამ თანხიდან სავაჭრო ფასდაკლების გამოქვითვით.

12. საბითუმო ბაზებში ჩამოფასების ფონდის ხარჯზე ასანაზღაურებელი ჩამოფასების თანხა განისაზღვრება:

ბრუნვის გადასახადით დასაბეგრი საქონლისათვის — როგორც სხვაობა ძველი საცალო ფასების (ჩამოფასებამდე) და ახალი ფასების (ჩამოფასების შემდეგ) საქონლის ღირებულებას შორის;

ბრუნვის გადასახადით დაუბეგრავი საქონლისათვის — როგორც სხვაობა ძველი საცალო ფასების (ჩამოფასებამდე) მიხედვით საქონლის ღირებულებასა (სავაჭრო ან საშუალო სავაჭრო და გასასაღებელი ფასდაკლების გამოქვითვით) და ახალი ფასების (ჩამოფასების შემდეგ) მიხედვით საქონლის ღირებულებას (ამ ფასების მიმართ გამოანგარიშებული საშუალო სავაჭრო და გასასაღებელი ფასდაკლების გამოქვითვით) შორის.

მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის და ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის საბითუმო ვაჭრობის რესპუბლიკური ბაზების მიერ რეალიზაციისათვის ბრუნვის გადასახადი გამოიანგარიშება საპრეისკურანტო ფასების მიხედვით, ჩამოფასების გაუთვალისწინებლად.

13. საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდის სახსრებიდან გაწეული იქნება მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის და ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებითი დამუშავების (დაუთოება, გაწმენდა, წვრილმანი შეკეთება და ა. შ.) ხარჯები.

14. ჩამოფასების ფონდის ხარჯზე არ შეიძლება ჩამოფასდეს:

საქონელი, რომლის ხარისხი გაუარესდა მწარმოებლის ან მიმწოდებლის მიზეზით, რისთვისაც ამ უკანასკნელს ეკისრება პასუხისმგებლობა მიმღების წინაშე;

საქონელი, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, როცა დადგენილი არ არიან კონკრეტული დამნაშავენი.

აღნიშნული საქონლის გაფუჭებით გამოწვეული დანაკარგები განისაზღვრება საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულებით დადგენილი წესით;

ვიტრინებისა და რეკლამისათვის გამოყენებული საქონელი; საქონელი, რომელსაც დაკარგული აქვს მთლიანად თავისი პირვანდელი ხარისხი ვაჭრობის მუშაკებზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო; საქონელი, რომელიც მოითხოვს უმნიშვნელო დამუშავებას, და დამუშავების შემდეგ შეიძლება რეალიზებულ იქნეს საპრეისკურანტო ფასებში; გამოსადეგობის შეზღუდული ვადის მქონე საქონელი, როცა გასულია მისი გამოსადეგობის ვადა, თუ მას მთლიანად აქვს დაკარგული სამომხმარებლო თვისებები, და რომლის ღირებულება მიეკუთვნება სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

15. ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების ფონდის ხარჯზე ჩამოფასებას არ ექვემდებარება:

ძვირფასი ლითონებისა და ქვების გამოყენებით დამზადებული ნაწარმი;

ნატურალური ბეწვეულის ნაწარმი და ხელსაწყოები;

საკომისიო მაღაზიებსა და შემსყიდველ პუნქტებში რეალიზებული საქონელი;

ინდივიდუალური შეკვეთის წესით ატელიეში დამზადებული შეკერილი ნაწარმი და ფეხსაცმელი.

IV. აღრიცხვის ჩატარების ორგანიზაცია

1. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოებსა და განყოფილებებში იქმნება კომისიები სამინისტროების, ვაჭრობის სამმართველოების, სავაჭრო ორგანიზაციების, მუშათა მომარაგების განყოფილებების, საბითუმო და საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების პასუხისმგებელ მუშაკთა და სპეციალისტთა შემადგენლობით.

საჭირო შემთხვევებში შეიძლება შეიქმნას კომისიები ცალკეული ჯგუფების საქონლის — ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა საქონლის ჩამოფასების თაობაზე წინადადებათა შესამუშავებლად.

აღნიშნული კომისიები განიხილავენ საცალო და საბითუმო ორგანიზაცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და საწარმოთა წინადადებებს საქონლის ჩამოფასების თაობაზე, შეადგენენ ჩამოფასებული საქონლის პრეისკურანტებს. პრეისკურანტების ფორმები მოცემულია № 2 და 3 დანართებში.

2. ჩამოფასებული საქონლის პრეისკურანტები, ტექნიკურად რთული და იმპორტული საქონლის გარდა, მტკიცდება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოებისა და განყოფილებების, სავაჭრო ორგანიზაციების მიერ გამოცემული ბრძანებებით. ბრძანებაში აგრეთვე აღინიშნება საქონელზე ახალი შემცირებული ფასების შემოღების თარიღი.

3. ტექნიკურად რთული და იმპორტული ჩამოფასებული საქონლის პრეისკურანტებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

4. სავაჭრო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ჩამოფასებული საქონლის დროულად გაყიდვას.

5. საქონლის ჩამოფასების ოდენობა უნდა განისაზღვროს საქონლის ჩამოფასებისათვის სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მოთხოვნების გათვალისწინებით, ე. ი. უზრუნველყოფილ იქნეს მისი გაყიდვა უმოკლეს ვადებში მინიმალური დანაკარგებით.

მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასების ოდენობა უნდა განისაზღვროს მოსახლეობაში მოთხოვნილების მქონე ანალოგიურ საქონელთან შედარებით ჩამოსაფასებელი საქონლის სამომხმარებლო თვისებათა განსხვავების დონის გათვალისწინებით, აგრეთვე ამ საქონლით ბაზრის მომარაგების გათვალისწინებით.

ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასების ოდენობა განისაზღვრება თითოეული ნაწარმის ხარისხის დაკარგვის დონის შესაბამისად მისი რეალიზაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

წინათ ჩამოფასებული საქონელი, რომელიც დაწესებულ ვადებში არ გაყიდულა, შეიძლება ხელახლა ჩამოფასდეს შესაძლო რეალიზაციის დონემდე, მაგრამ არა უადრეს ერთი წლისა.

6. მოძველებული ფასონებისა და მოდელების ჩამოფასებული საქონლის ერთიანი ფასები (ტექნიკურად რთული და იმპორტული საქონლის გარდა) წესდება მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის (ავტონომიური ოლქის), ქალაქის ფარგლებში.

ტექნიკურად რთული და იმპორტული ჩამოფასებული საქონლის ერთიანი ფასები წესდება საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში.

7. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის გადაფასება ხდება საცალო ფასების შეცვლასთან დაკავშირებით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასების წესისა და გადაფასების შედეგების მიხედვით ანგარიშსწორების თაობაზე სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის 1974 წლის 6 სექტემბრის № 208/10-15/1950 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. პირვანდელი ხარისხდაკარგული არასასურსათო საქონლის გადასაფასებლად კომისიების შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იქნენ შეყვანილი სპეციალისტები — საქონელმცოდნეები.

9. ტექნიკურად რთული საქონელი, რომელიც მოიხსნა წარმოებიდან და მოსახლეობაში მოთხოვნილებით არ სარგებლობს, ჩამოფასდება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოებისა და განყოფილებების, მუშათა მომარაგების სამმართველოების, მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და სხვა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში წინადადებათა წარდგენის საფუძველზე.

ასეთივე წესით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოოპკავშირები და რესპუბლიკის რაიონების კოოპერაციული ორგანიზაციები წარუდგენენ მსგავს წინადადებებს ცეკავშირის გამგეობას.

ტექნიკურად რთული საქონლის ჩამოფასების ერთიანი დონის დაცვის მიზნით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა ამტკიცებენ ტექნიკურად რთული ასორტიმენტის ჩამოსაფასებელი საქონლის სიებს, ჩამოფასების ოდენობას და მისი ჩატარების დროს, რომლებიც საერთოა რესპუბლიკისათვის.

ყველა ტექნიკურად რთული საქონელი, რომელთაც აქვთ საწარმოო პასპორტები (რადიომიმღები, საათი და სხვ.), ჩამოფასდება მხოლოდ პასპორტის არსებობისას. ეს საქონელი წესივრული და ექსპლუატაციისათვის გამოსადეგი უნდა იყოს.

მოძველებული ფასონებისა და მოდელების გაუსავლიან და ჩაწოლილ იმპორტულ საქონელს, რომელიც მოსახლეობაში მოთხოვნილებით არ სარგებლობს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ჩამოაფასებს იმ შემთხვევებში, როცა ანალოგიური საქონელი მიმდინარე წელს არ შესყიდულა და არ შემოვა სავაჭრო ქსელში.

საქონელი, რომლის გამოსადეგობის ვადა გასულია (საყოფაცხოვრებო ქიმიის, პარფიუმერიის ცალკეული საქონელი, კოსმეტიკის საქონელი და სხვ.), შეიძლება ჩამოფასდეს ჩამოფასების ფონდის ხარჯზე შესაძლო რეალიზაციის ფასამდე, თუ მას არ დაუკარგავს საქონლური სახე და შესაბამისი ორგანიზაციების დასკვნით გამოსადეგია მოსახმარებლად.

10. მონაცემები ჩამოფასებული საქონლის შესახებ ჩაიწერება აღწერილობა-აქტებში № 4 და 5 დანართების თანახმად გათვალისწინებული ფორმის მიხედვით. აღწერილობა-აქტები შედგენილ იქნება თითოეული განყოფილების (სექციის) და საწარმოსათვის 3 ცალად და ხელს მოაწერენ ინვენტარიზაციისა და საქონლის ჩამოფასების ჩამტარებელი კომისიის წევრები, აგრეთვე მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.

11. ტექნიკურად რთული საქონლის ჩამოფასებისას, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, აღწერილობა-აქტის მე-3

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფაში აუცილებლად აღინიშნება კონკრეტული ნაკეთობის მოდელის საფასურიკო ნომერი.

12. ცალკეული საქონლის ხელახალი ჩამოფასებისას № 6 და 7 დანართების თანახმად გათვალისწინებული ფორმის მიხედვით შედგენილ აღწერილობა-აქტებში აღინიშნება პირველი ჩამოფასების შემდგომი ფასი, რომელიც საპრეისკურანტო ფასზე ნაკლებია.

13. გარკვეული პროცენტით ჩამოსაფასებელი არასასურსათო საქონლის საცალო ფასების დამრგვალება შემდეგნაირად ხორციელდება:

თუ საქონლის ღირებულება საცალო ფასების მიხედვით ჩამოფასების შემდეგ 5 კაპიკამდეა (ჩათვლით), საცალო ფასი დამრგვალდება 10 კაპიკამდე (5 კაპიკამდე ამოირიცხება, 5 კაპიკი და მეტი დამრგვალდება 10 კაპიკამდე);

თუ საქონლის ღირებულება საცალო ფასების მიხედვით ჩამოფასების შემდეგ 50 კაპიკზე მეტია, საცალო ფასი დამრგვალდება 1 მანეთამდე (50 კაპიკამდე ამოირიცხება, 50 კაპიკი და მეტი დამრგვალდება 1 მანეთამდე).

14. აღწერილობა-აქტები შეივსება მელნით, ბურთულიანი კალმით ან ქიმიური ფანქრით, ნათლად და გარკვევით. არ დაიშვება არავითარი წაშლა და გადაფხეკა. დაშვებული შეცდომების გასწორება უნდა მოხდეს აღწერილობა-აქტის ყველა ეგზემპლარში მცდარი ჩანაწერების წაშლისა და ზემოთ სწორი მონაცემების დაწერის გზით. ამ გასწორებებს აუცილებლად უნდა მოაწეროს ხელი კომისიის ყველა წევრმ.

აღწერილობა-აქტის ყველა ეგზემპლარს ხელს აწერს საქონლის ჩამოფასების ჩამტარებელი კომისიის ყველა წევრი. აღწერილობა-აქტის ბოლოს საერთო შედეგების შეჯამების შემდეგ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები ხელმოწერით დაადასტურებენ, რომ პასუხსაგები შენახვისათვის მიიღეს ფასეულობანი ახალი შეფასებით.

15. გაფორმების შემდეგ აღწერილობა-აქტები გადაეცემათ:

— პირველი ეგზემპლარი — ზემდგომი ორგანიზაციის ბუღალტერიას (ცენტრალიზებულ ბუღალტერიას);

— მეორე ეგზემპლარი — იმ საწარმოს (ორგანიზაციის) ბუღალტერიას (სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფს), სადაც წარმოებს ფასეულობათა აღრიცხვა;

— მესამე ეგზემპლარი — მატერიალურად პასუხისმგებელ პირს.

16. აღწერილობა-აქტების მიღების შემდეგ საწარმოს ან ორგანიზაციის ბუღალტერია ან ფასების დარგის ეკონომისტი დაუყოვნებლივ შეამოწმებს:

— კომისიის მიერ დასმული საქონლის წინანდელი (ჩამოფასებამდე) და ახალი (ჩამოფასების შემდეგ) ფასების სისწორეს, რის შემდეგაც აღწერილობა-აქტების მიხედვით ფაქტიურად არსებულ საქონელს შეუდარებს საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებს (იმ საქონლისათვის, რომლისთვისაც ეს აღრიცხვა წარმოებს);

— ჩამოფასებამდე და ჩამოფასების შემდეგ საქონლის ღირებულების ფასების მიხედვით განსაზღვრის სისწორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწერილობა-აქტის თითოეულ გვერდზე სპეციალური შტამპით ანიჭლოთ. უნდა გაკეთდეს აღნიშვნა „ფასები და გამოანგარიშება შემოწმებულია“ შემმოწმებელი პირის ხელმოწერით.

აღწერილობა-აქტების შემოწმებისას საქონლის ფასებსა და ღირებულებაში აღმოჩენილი შეცდომები უნდა გასწორდეს და აღინიშნოს კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. ამასთან საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელმა უნდა დაადგინოს, გამოვლენილი უსწორობანი შემთხვევითი შეცდომაა, თუ ჩადენილია ბოროტმოქმედების მიჩქმალვის მიზნით, და მიიღოს შესაბამისი ზომები.

17. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის გადაფასების შედეგები (საჭირო შემთხვევებში მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა წერილობით ახსნა-განმარტებებთან ერთად) უნდა განიხილოს და დაამტკიცოს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელმა მასალების მიღების შემდეგ ორი დღის ვადაში.

18. ამ ინსტრუქციის V განაყოფით დადგენილი წესით ხელახლა ნიშანდებული ყველა ჩამოფასებული საქონელი აღწერილობა-აქტის დამტკიცების შემდეგ უმოკლეს ვადაში გადაეცემა სარეალიზაციოდ ზედნადებით, რომელშიც აღინიშნება საცალო ფასები ჩამოფასებამდე და ჩამოფასების შემდეგ.

19. სავაჭრო ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ კონტროლი იმისადმი, რომ ჩამოფასებული საქონელი დროულად გადაეცეს სარეალიზაციოდ აღწერილობა-აქტებში აღნიშნული სრული მოცულობით.

ჩამოფასებული საქონელი გადაეცემათ სპეციალიზებულ სავაჭრო საწარმოებს ახალ შემცირებულ ფასში. სავაჭრო ფასდაკლება გადაეცემათ სპეციალიზებულ სავაჭრო საწარმოებს ჩამოფასების შემდეგ ახალი ფასის სრული პროცენტით სახალხო მოხმარების საქონლის სავაჭრო და საბითუმო-გასასაღებელი ფასდაკლების გამოყენების წესის შესახებ სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის 1978 წლის 8 აგვისტოს № 500 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციითა და მისი დამატებებით დადგენილი წესით.

V. ნიშანდების წესი

1. ჩამოფასებული საქონელი ხელახლა უნდა იქნეს ნიშანდებული. ნიშანდება ხორციელდება საცალო ფასების შეცვლასთან დაკავშირებით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასების წესისა და გადაფასების შედეგების მიხედვით ანგარიშსწორების თაობაზე სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის 1974 წლის 6 სექტემბრის № 208/10-15/1950 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

2. ყველა ჩამოფასებულ ტექნიკურად რთულ საქონელს აუცილებლად უნდა მიეკრას იარლიყი, რომელზეც აღინიშნება პირვანდელი ფასი და ფასი ზემოაღნიშნული წესით ჩამოფასების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ჩამოფასებული საქონლის ხელახალ ნიშანდებას და ახალი, სათანადოდ გაფორმებული იარლიყების მიკვრას ახდენენ საწარმოები ჩამოფასებული საქონლის გადაფასების ადგილზე.

4. ნაწილობრივ ხარისხის დაკარგვასთან დაკავშირებით ჩამოფასებულ ნაწარმზე ფასების ხელახლა ნიშანდებისას იარლიყებზე, შესაფუთავზე ან საფასარებზე დაისმის ინდექსი „პ“.

5. სასაქონლო იარლიყების გარდა მაღაზიებს, რომლებიც ჩამოფასებულ საქონელს ჰყიდიან, შეუძლიათ გამოიყენონ სარეკლამო საშუალებანი ძველი და ახალი ფასების, ჩამოფასების პროცენტის და საქონლის შესახებ სხვა მონაცემების მითითებით.

VI. ჩამოფასებული საქონლის გაყიდვის ორგანიზაცია და წესი

1. ჩამოფასებული საქონელი უნდა იყიდებოდეს სპეციალიზებულ მაღაზიებში, განყოფილებებში, სექციებში ვაჭრობის პროგრესული ფორმების, უწინარეს ყოვლისა, თვითმომსახურების, გამოყენებით. დაუშვებელია ჩამოფასებული საქონლის გაყიდვა მოუწყობელ სადგომებში.

2. ჩამოფასებული საქონლის რეალიზაციისას მყიდველთა მოხერხებული მომსახურებისათვის (საქონელთან მისვლის შესაძლებლობა, საქონლის დაწყობა-გადმოლაგება, რეკლამა და ა. შ.) ამ საქონლის გასაყიდად სავაჭრო დარბაზის ფართობი გამოიანგარიშება არასასურსათო მაღაზიებში სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისათვის სავაჭრო ფართობის 1 კვადრატულ მეტრზე საქონელბრუნვის ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმატივებით დაწესებული 1 კვადრატული მეტრის საქონელბრუნვის ნორმატივის სიდიდის 50 პროცენტის გათვალისწინებით.

3. სავაჭრო ორგანიზაციები (სავაჭრო ორგანიზაციები, მუშათა მომარაგების სამმართველოები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სხვ.) ამტკიცებენ მაღაზიების ნუსხას, რომლებშიც უნდა იყიდებოდეს ჩამოფასებული საქონელი, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მაღაზიები განლაგებული უნდა იყოს მყიდველთა მასობრივი თავმოყრის ადგილებში და ჰქონდეთ ამ განაყოფის 1-ლ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული პირობები მოსახლეობის ნორმალური მომსახურებისათვის.

4. ჩამოფასებული საქონლის გასაყიდად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სპეციალური ბაზრობები, ბაზრები.

5. ჩამოფასებული საქონლის გაყიდვისას საჭიროა გამოყენებულ იქნეს მასობრივი ინფორმაციის სარეკლამო საშუალებანი (პრესა, რადიო, განცხადებები და სხვ.) დაკლებულ ფასებში საქონლის გაყიდვის, მაღაზიების ადგილსამყოფლის, საქონლის ასორტიმენტის შესახებ. ამასთან არ უნდა იქნეს დაშვებული ისეთი ტექსტები, რომლებიც დაუკარგავს მყიდველს ამ საქონლის შეძენის სურვილს („გაუსავლიანი“, „ჩაწოლილი“, „მოძველებული“, „ჩამოფასებული“ საქონელი **და** ა. შ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სავაჭრო დარბაზში გადაცემამდე ჩამოფასებულ საქონელს უნდა მიეცეს საქონლური სახე (გაიწმინდოს, დაუთოვდეს, დაეკეროს ღილები, გაუკეთდეს შესაკრავები, აღმოიფხვრას გარეგნული სახის სხვადასხვა დამახინჯებანი და ა. შ.).

7. ჩამოფასებული საქონელი სავაჭრო დარბაზში უნდა დალაგდეს ჯგუფების, ნაწარმის სახეობის, ზომისა და სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით, განსაზღვრული ჯგუფების საქონლის ვაჭრობის წესების შესაბამისად.

8. ჩამოფასებული საქონლის გაყიდვისას სავაჭრო ორგანიზაციებმა დამატებითი მომსახურება უნდა გაუწიონ მყიდველებს.

9. ნებადართულია ჩამოფასებული საქონელი წვრილ ბითუმად უნაღდო ანგარიშსწორებით მიეყიდოთ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს დადგენილი წესით.

VII. შრომის ანაზღაურების პირობები

1. თვეში 3 ათას მანეთზე მეტი ბრუნვის მაღაზიებისა და თვეში 10 ათას მანეთზე მეტი ბრუნვის წვრილი საცალო სავაჭრო ქსელის მუშაკთათვის, რომლებიც ჩამოფასებულ საქონელს ჰყიდიან, რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს შრომის სანარდო ანაზღაურება სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 27 მარტის № 048-75 და 1978 წლის 26 ივნისის № 0105-75 წერილებში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესაბამისად.

2. თვეში 10 ათას მანეთამდე ბრუნვის წვრილი საცალო სავაჭრო ქსელის (ფარდულების, კიოსკების) მუშაკებს, აგრეთვე თვეში 3 ათას მანეთამდე ბრუნვის მაღაზიების მუშაკებს, რომლებიც დასაქმებული არიან ჩამოფასებული საქონლის რეალიზაციით, შრომა უნდა აუნაზღაურდეთ წვრილი საცალო ვაჭრობის ფასდების მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის 1964 წლის 25 სექტემბრის № 102 ბრძანებისა და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1977 წლის 18 თებერვლის № 029-75 წერილის თანახმად.

VIII. კონტროლი საქონლის ჩამოფასებისა და ჩამოფასებული საქონლის გაყიდვისადმი

1. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოებისა და განყოფილებების, სავაჭრო ორგანიზაციების, მუშათა მომარაგების სამმართველოებისა და განყოფილებების და ვაჭრობის სხვა საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სისწორისათვის, აგრეთვე ამ საქონლის ჩამოფასებით გამოწვეული დანაკარგების ასანაზღაურებლად გამოყოფილი სახსრების სწორად გამოყენებისათვის.

2. ვაჭრობის ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები სისტემატურ კონტროლს უწევენ საქონლის ჩამოფასების ჩატარებას, ჩამოფასებული საქონლის გაყიდვას, გაუსავლიანი, ჩაწოლილი და ჩამოფასებული საქონლის ნაშთების მდგომარეობას, ამასთან იყენებენ სავაჭრო ქსელში არსებული გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის აღრიცხვის, ოპერატიული აღრიცხვის მასალებს, № 3ა-ჩამოფასება ფორმის მონაცემებს, აგრეთვე საბითუმო და საცალო სახელმწიფო ვაჭრობის საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში საქონლის ჩამოფასების ჩატარებისა და ჩამოფასებული საქონლის გაყიდვისათვის მუშაობის შემოწმების გზით.

იმ მიზნით, რომ შემცირდეს ისეთი საქონლის ნაშთები, რომელიც მოსახლეობაში მოთხოვნილებით არ სარგებლობს, კონტროლი უნდა გაეწიოს და გაუმჯობესდეს სავაჭრო პერსონალის ოპერატიული მუშაობა. ვაჭრობამ დროულად უნდა გამოავლინოს ასეთი საქონელი და ზემოქმედება მოახდინოს მრეწველობაზე იმ მხრივ, რომ იგი მოიხსნას წარმოებიდან, განახლდეს ასორტიმენტი და ამაღლდეს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 12 ივნისის № 421 დადგენილების დანართი № 1

სანიმუშო ნუსხა

ტექნიკურად რთული საქონლისა, რომელსაც ჩამოაფასებენ სავაჭრო ორგანიზაციები საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ნებართვით მისი წარმოებიდან მოხსნის შემდეგ

რადიომიმღებები და რადიოლები;
ტელევიზორები;
საათები;
ფოტოაპარატები და ფოტოგამადიდებლები;
კინოგადასაღები აპარატები და კინოპროექტორები;
ელექტროფონები და ელექტროფირფიტასაკრავები;
მაგნიტოფონები;
აკორდეონები, ბაიანები და გარმონები;
საკერავი მანქანები;
უნივერსალური სამზარეულო კომბაინები;
სარეცხი მანქანები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტვერსასრუტები და იატაკსაპრიალებლები;
მაცივრები;
ელექტროსაპარსები;
ელექტროწვენსაწურები;
ელექტროხორცსაკეპები;
ელექტროყავასაფქვავები;
ელექტროყავასახარშები;
ელექტროღუმელები;
ელექტროფურნაკები;
ელექტროჰაერსაწმენდები;
ელექტროკონდიციონერები;
ელექტროჭურჭელსარეცხები;
საყოფაცხოვრებო ელექტროგასანათებელი არმატურა
ნავის მოტორები;
ლითონისა და პლასტმასის ნავები;
მოპედები და ველოსიპედები;
სხვა ტექნიკურად რთული საქონელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 12 ივნისის № 421 დადგენილების დანართი № 2

ორგანიზაცია _____

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ი

მოძველებული ფასონებისა და მოდელების ჩამოფასებული საქონლისა

სამოქმედოდ შემოღებულია _____

_____ დან

№№ რიგ.	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	პრეისკურანტის №, რომელშიც აღნიშნულია ფასი ჩამოფასებამდე	არტიკული ან № პრეისკურანტის მიხედვით	ნოდელი, ფასონი, მარკა და სხვ.	გამოშვების წელი	დამამზადებელი საწარმო	საცალო ფასი პრეისკურანტის მიხედვით (ჩამოფასებამდე)	ჩამოფასების მიზეზი	ფასი ჩამოფასების შემდეგ

შენიშვნები: 1. აღნიშნული პრეისკურანტი მტკიცდება ბრძანებით.
2. თუ ფასები პრეისკურანტში დიფერენცირებულია ზომის, ხარისხის მიხედვით, 1-ლ გრაფაში აღინიშნება ეს მაჩვენებლები.
3. მე-10 გრაფაში აღინიშნება ერთიანი დაკლებული საცალო ფასები პრეისკურანტის მიხედვით საცალო ფასების დიფერენციაციის ნიშნების გაუთვალისწინებლად.

№ 9
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 12 ივნისის № 421 დადგენილ-
ლების დანართი № 3

ორგანიზაცია _____

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ი

მოძველებული ფასონებისა და მოდელების ჩამოფასებული საქონლისა, რომელიც ხელახლა უნდა ჩამოფასდეს

სამოქმედოდ შემოღებულია _____

_____ დან

№№ რიგ.	ნაწარმის დასახელება	ზომის ერთეული	არტიკული ან №, პრეის-კურანტის მიხედვით	მოდელი, ფასონი, ბარკა და სხვ.	გამოშვების წელი	დამამზადებელი საწარმო	ვინ და როდის დაამტკიცა პრეისკურანტი პირველი ჩამოფასებისას	ფასი პირველი ჩამოფასების შემდეგ	ხელახალი ჩამოფასების მიზეზი	ფასი მეორე ჩამოფასების შემდეგ

შენიშვნა: აღნიშნული პრეისკურანტი მტკიცდება ბრძანებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 12 ივნისის № 421 დადგენილების დანართი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაცია, საწარმო,
განყოფილება, სექცია

აღწერილობა-აქტი

მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასებისა

კომისიამ შემდეგი შემადგენლობით _____

_____ № _____ განკარგულების საფუძველზე ჩაატარა მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ინვენტარიზაცია და ჩამოფასება. ამის შედეგად ჩამოფასებული საქონელი აღმოჩნდა: საცალო ფასებში ჩამოფასებამდე _____ მანეთისა (ციფრებითა და სიტყვებით), ახალ საცალო ფასებში ჩამოფასების შემდეგ _____ _____ მანეთისა (ციფრებითა და სიტყვებით). ჩამოფასებული საქონელი ხელახლა ნიშანდებულია.

№№ რიგ.	არტიკული ან № პრეისკურანტის მიხედვით	მოდელი, ფასონი, მარკა და სხვ.	საქონლის დასახელება	გამოშვების წელი	საქონლის ჩამოფასების მიზეზი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ჩამოფასებამდე		ჩამოფასების შემდეგ		ჩამოფასების თანხა (გრაფები 9-11)
								ფასი	თანხა	ფასი	თანხა	

სულ (გვერდის ან აღწერილობის მიხედვით)

რიგითი ნომრების რაოდენობა № _____ დან № _____ მდე (სიტყვებით)

რაოდენობა ნატურალური **მაჩვენებლების მიხედვით (გრაფა № 7)** (სიტყვებით)

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრები

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი

აღწერილობა-აქტში ჩამოთვლილი ფასეულობანი, რომელთა საერთო ღირებულებაა ჩამოფასების შემდეგ _____ _____ (სიტყვებით) მანეთი _____ **კაპიკი, არის ჩემს (ჩვენს) პასუხსაგებ შენახვაზე**

მატერიალურად პასუხისმგებელი

პირი (პირები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 12 ივნისის № 421 დადგენილების დანართი № 5

მუხ. 54

ორგანიზაცია, საწარმო,
განყოფილება, სექცია

აღწერილობა-აქტი

ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა

კომისიამ შემდეგი შემადგენლობით _____

_____ № _____ განკარგულებისა და სასაქონლო ექსპერტიზის _____ აქტები საფუძველზე ჩაატარა ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ინვენტარიზაცია და ჩამოფასება. ამის შედეგად ჩამოფასებული საქონელი აღმოჩნდა: საცალო ფასებში ჩამოფასებამდე _____ მანეთისა (ციფრებითა და სიტყვებით), ახალ საცალო ფასებში ჩამოფასების შემდეგ _____ მანეთისა (ციფრებითა და სიტყვებით). ჩამოფასებული საქონელი ხელახლა ნიშანდებულია.

№№ რიგ.	არტიკული ან № პრეისკურანტის მიხედვით	მოდელი, ფასონი, მარკა საფეხბრიკო მოდელის ნომერი და სხვ.	საქონლის დასახელება	გამოშვების წელი	საქონლის ჩამოფასების მიზეზი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ჩამოფასებამდე		ჩამოფასების შემდეგ		ჩამოფასების თანხა (გრაფები 9-11)
								ფასი	თანხა	ფასი	თანხა	

სულ (გვერდის ან აღწერილობის მიხედვით)

რიგითი ნომრების რაოდენობა № _____ დან № _____ მდე (სიტყვებით)

მუხ. 54

რაოდენობა ნატურალური მაჩვენებლების მიხედვით (გრაფა № 7) (სიტყვებით)

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრები

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი

აღწერილობა-აქტში ჩამოთვლილი ფასეულობანი, რომელთა საერთო ღირებულებაა ჩამოფასების შემდეგ _____

_____ (სიტყვებით) მანეთი _____ კაპიკი, არის ჩემს (ჩვენს) პასუხსაგებ შენახვაზე

მატერიალურად პასუხისმგებელი

პირი (პირები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 12 ივნისის № 421 დადგენილების დანართი № 6

№ 3 მეხ. 54

ორგანიზაცია, საწარმო,
განყოფილება, სექცია.

აღწერილობა-აქტი

მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ხელახალი ჩამოფასებისა

კომისიამ შემდეგი შემადგენლობით _____

_____ № _____ განკარგულების საფუძველზე ჩაატარა მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ინვენტარიზაცია და ჩამოფასება. ამის შედეგად ჩამოფასებული საქონელი აღმოჩნდა: ფასებში პირველი ჩამოფასების შემდეგ _____ მანეთისა (ციფრებითა და სიტყვებით), ფასებში ხელახალი ჩამოფასების შემდეგ _____ მანეთისა (ციფრებითა და სიტყვებით). ჩამოფასებული საქონელი ხელახლა ნიშანდებულია.

№№ რიგ.	არტიკული ან № პრეისკურანტის მიხედვით	მოდელი, ფასონი, მარკა და სხვ.	საქონლის დასახელება	გამოშვების წელი	საქონლის ჩამოფასების ძირითადი	ზომის ერთეული	რაოდენობა	საცალო ფასი პრეისკურანტის მიხედვით	პირველი ჩამოფასების შემდეგ		ხელახალი ჩამოფასების შემდეგ		ხელახალი ჩამოფასების თანხა
									ფასი	თანხა	ფასი	თანხა	

სულ (გვერდის ან აღწერილობის მიხედვით)

რიგითი ნომრების რაოდენობა № _____ დან № _____ მდე (სიტყვებით)

№ 3

№ 3

მეხ. 54

რაოდენობა ნატურალური მაჩვენებლების მიხედვით (გრაფა № 8) (სიტყვებით)

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრები

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი

აღწერილობა-აქტში ჩამოთვლილი ფასეულობანი, რომელთა საერთო ღირებულებაა ჩამოფასების შემდეგ _____ (სიტყვებით) მანეთი _____ კაპიკი, არის ჩემს (ჩვენს) პასუხსაგებ შენახვაზე

მატერიალურად პასუხისმგებელი

პირი (პირები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 12 ივნისის № 421 დადგენილების დანართი № 7

ორგანიზაცია, საწარმო,
განყოფილება, სექცია.

აღწერილობა-აქტი

ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ხელახალი ჩამოფასებისა

კომისიამ შემდეგი შემადგენლობით _____

_____ № _____ განკარგულების საფუძველზე ჩაატარა ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ინვენტარიზაცია და ჩამოფასება. ამის შედეგად ჩამოფასებული საქონელი აღმოჩნდა: ფასებში პირველი ჩამოფასების შემდეგ _____ _____ მანეთისა (ციფრებითა და სიტყვებით), ფასებში ხელახალი ჩამოფასების შემდეგ _____ მანეთისა (ციფრებითა და სიტყვებით). ჩამოფასებული საქონელი ხელახლა ნიშანდებულია.

№№ რიგ.	არტიკული ან № პრეისკურანტის მიხედვით	მოდელი, ფასონი, მარკა, საფასურიკო ნომერი და სხვ.	საქონლის დასახელება	გამოშვების წელი	საქონლის ჩამოფასების მიზეზი	ზომის ერთეული	რაოდენობა	საცალო ფასი პრეისკურანტის მიხედვით (ჩამოფასებამდე)	პირველი ჩამოფასების შემდეგ		ხელახალი ჩამოფასების შემდეგ		ხელახალი ჩამოფასების თანხა
									ფასი	თანხა	ფასი	თანხა	

სულ (გვერდის ან აღწერილობის მიხედვით)

რიგითი ნომრების რაოდენობა № _____ დან № _____ მდე (სიტყვებით)

№ 3

№ 3

რაოდენობა	ნატურალური	მაჩვენებლების მიხედვით (გრაფა № 8)	(სიტყვებით)

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრები

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი

აღწერილობა-აქტში ფასეულობანი, რომელთა საერთო ღირებულებაა ჩამოფასების შემდეგ _____ _____ (სიტყვებით) მანეთი _____ კაპიკი, არის ჩემს (ჩვენს) პასუხსაგებ შენახვაზე

მატერიალურად პასუხისმგებელი

პირი (პირები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

55 გარეული ხილის, კენკრის, კაკლის, სოკოსა და ტყეებში მოპოვებული სხვა არამერქნითი პროდუქციის შესასყიდი ფასების დადგენის წესის შესახებ

„მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების, აგრეთვე ტვირთზიდვის და სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის გაწეული სხვა მომსახურების ტარიფების დადგენისა და გამოყენების წესის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 26 დეკემბრის № 636 დადგენილების (პუნქტი 2, ქვეპუნქტი „თ“) შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ გარეული ხილის, კენკრის, კაკლის, სოკოსა და ტყეებში მოპოვებული სხვა არამერქნითი პროდუქციის შესასყიდ ფასებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტი შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარდგენით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან შეთანხმებით.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დამზადების მოცულობის გადიდებისა და მოსახლეობის მატერიალური სტიმულირების მიზნით დაამუშაონ გარეულის ხილის, კენკრის, კაკლის, სოკოსა და ტყეებში მოპოვებული სხვა არამერქნითი პროდუქციის ახალი შესასყიდი ფასების პროექტი და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობასთან შეთანხმებით წარუდგინონ საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტს დასამტკიცებლად.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 14 ოქტომბრის № 519 დადგენილების მე-5 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 19 ივნისი, № 439

ინდექსი—76167

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3, 1981 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-81 წ. ქაღალდის ზომა 70×1/16.
საბეჭდი თაბახი 6,5, სააღრიცხვო თაბახი 6,5

შეკვეთა № 969 უე 04387 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი საბეჭდავნო სამმართ. სტამბა.

68/21

ეროვნული
ბიბლიოთეკა